

დირექტივა რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული
წვერი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციისა და
1999/5/EC დირექტივის გაუქმების შესახებ

(ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის 2014/53/EU
დირექტივა)

(დ ი რ ე ქ ტ ი ვ ა ვ რ ე ე ლ დ ე ბ ა ე ვ რ ო პ ი ს ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ზ ო ნ ა ზ ე)

ევროპის პარლამენტმა და მის საბჭომ,

გაითვალისწინეს რა,

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება და კერძოდ, ხელშეკრულების 114-ე მუხლი,

ევროკომისიის მიერ წარდგენილი წინადადებები,

ქვეყნების პარლამენტებში კანონპროექტის წარდგენის შემდეგ კი,

ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დასკვნა¹ (1),

მოქმედებდნენ რა, სტაბდარტული საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად² (2),

ვინაიდან:

- (1) ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 1999/5/EC დირექტივა³ რამდენჯერმე მნიშვნელოვნად შეიცვალა და გათვალისწინებულია შემდგომი ცვლილებების შეტანა. ამიტომ მიზანშეწონილია მისი ჩანაცვლება რაიმე სახის გაუგებრობის თავიდან არიდების მიზნით.
- (2) ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 765/2008 დირექტივა⁴ განსაზღვრავს შესაბამისობის შეფასების ორგანოების აკრედიტაციის წესებს, პროდუქტებთან დაკავშირებით არსებულ ბაზრის ზედამხედველობის სისტემას, კონტროლის სისტემას მესამე ქვეყნებიდან შემოტანილისაქონლისთვის და CE-ის ნიშანდების ზოგად პრინციპებს.
- (3) ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 768/2008/EC გადაწყვეტილება⁵ (5) განსაზღვრავს იმ ზოგად პრინციპებს და ნორმატიულ-ტექნიკურ დებულებებს,

¹ OJ C 133, 9.5.2013, გვ. 58.

² ევროპის პარლამენტის პოზიცია, 13 მარტი, 2014 (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არის გამოქვეყნებული) და ევროკავშირის საბჭოს 2014 წლის 14-აპრილის გადაწყვეტილება.

³ 1999 წლის 9 მარტის ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 1999/5/EC დირექტივა რადიოაპარატურის და ტელეკომუნიკაციის ტერმინალური მოწყობილობების და მათი თავსებადობის ერთობლივი აღიარების შესახებ (OJ L 91, 7.4.1999, გვ. 10).

⁴ 2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია 765/2008, რომელიც განსაზღვრავს აკრედიტაციის და ბაზრის ზედამხედველობის მოთხოვნებს პროდუქტების მარკეტინგთან მიმართებით და აუქმებს 339/93 რეგულაციას (OJ L 218, 13.8.2008, გვ. 30).

⁵ 2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 768/2008/EC პროდუქტების მარკეტინგის საერთო სისტემის და ევროკავშირის საბჭოს 93/465/EEC გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ (OJ L 218, 13.8.2008, გვ. 82).

რომელთა გამოყენების საფუძველზე უნდა მოხდეს სექტორული კანონმდებლობის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. ამრიგად, აუცილებელია 1999/5/EC დირექტივის შესაბამისობაში ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასთან მოყვანა.

(4) 1999/5/EC დირექტივაში მოცემული ძირითადი მოთხოვნები ფიქსირებული ხაზის ტერმინალურ მოწყობილობებთან დაკავშირებით, ანუ მოთხოვნები როგორც ადამიანების და შინაური ცხოველების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, ასევე ქონების და ელექტრომაგნიტური თავსებადობის ადეკვატური დონის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრულია ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 2014/35/EU დირექტივაში⁶ (6) და ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 2014/30/EU დირექტივაში⁷ (7). ამრიგად, წინამდებარე დირექტივა არ გამოიყენება ფიქსირებული ხაზის ტერმინალური მოწყობილობებისთვის.

(5) ბაზარზე არსებული კონკურენციის საკითხები ტერმინალურ მოწყობილობებთან დაკავშირებით სათანადოდ განხილულია ევროკომისიის 2008/63/EC დირექტივაში⁸ (1), კერძოდ, განსაზღვრულია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ვალდებულებები ქსელთან დაშვებისთვის საჭირო ტექნიკური ინტერფეისის სპეციფიკაციების აღწერის გამოქვეყნების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, აუცილებლობას არ წარმოადგენს წინამდებარე დირექტივაში 2008/63/EC დირექტივით განსაზღვრული ტერმინალურ მოწყობილობებთან დაკავშირებით ბაზარზე არსებული კონკურენციის საკითხების განხილვა.

(6) მოწყობილობა, რომელიც ასხივებს ან იღებს რადიოტალღებს რადიოკომუნიკაციის ან რადიო ადგილმდებარეობის (რადიოლოკაცია, რადიონავიგაცია) განსაზღვრის მიზნით, სისტემატურად გამოიყენებს რადიოსიხშირულ სპექტრს. რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტურად გამოყენების და საზიანო დაბრკოლებების თავიდან არიდების მიზნით, ყველა სახის ზემოაღნიშნული მოწყობილობა უნდა განიხილებოდეს წინამდებარე დირექტივაში.

(7) 2014/35/EU დირექტივით განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებული მიზნები საკმარისია იმისათვის, რომ მოიცვას რადიოდანადგარები და ამდენად ისინი, შესაბამისი მითითებით, გამოყენებულ უნდა იქნეს წინამდებარე დირექტივის საფუძველზე. დირექტივის დებულებების, გარდა იმ დებულებებისა, რომელიც ეხება აუცილებელ მოთხოვნებს, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, 2014/35/EU რადიოდანადგარებზე არ უნდა გავრცელდეს.

(8) 2014/30/EU დირექტივით განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ეხება ელექტრომაგნიტურ თავსებადობას, საკმარისია იმისათვის, რომ მოიცვას რადიოდანადგარები და ამდენად ისინი, შესაბამისი მითითებით, გამოყენებულ უნდა იქნეს წინამდებარე დირექტივის საფუძველზე. დირექტივის დებულებების, გარდა იმ დებულებებისა, რომელიც ეხება აუცილებელ მოთხოვნებს, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, 2014/30/EU რადიოდანადგარებზე არ უნდა გავრცელდეს.

⁶2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2014/35/EU წევრი ქვეყნების იმ კანონების ჰარმონიზაციის შესახებ, რომლებიც ეხება ბაზარზე იმ ელექტრონული აპარატურის განთავსებას, რომელიც განკუთვნილია ძაბვის გარკვეულ ლიმიტზე (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 357).

⁷2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2014/30/EU წევრი ქვეყნების იმ კანონების ჰარმონიზაციის შესახებ, რომლებიც ეხება ელექტრომაგნიტურ თავსებადობას (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 79).

⁸კომისიის დირექტივა 2008/63/EC, 20 ივნისი 2008 „ტელეკომუნიკაციების ტერმინალური მოწყობილობების კონკურენცია ბაზარზე“ (OJ L 162, 21.6.2008, გვ. 20).

- (9) წინამდებარე დირექტივა ეხება ყველა სახის მიწოდებას, დისტანციური გაყიდვების ჩათვლით.
- (10) იმის უზრუნველსაყოფად, რომ რადიოაპარატურამ ეფექტურად გამოიყენოს რადიოსიხშირული სპექტრი და ხელი შეუწყოს მის ეფექტურად გამოყენებას, რადიოაპარატურა იმგვარად უნდა იყოს დამზადებული: რომ გადამცემის შემთხვევაში, როდესაც ის სათანადოდ არის დამონტაჟებული, ექსპლუატაცია ხდება შესაბამისი წესების დაცვით და გამოიყენება დანიშნულებისამებრ, გადამცემი ახდენს ისეთი რადიოტალღების ემისიის გენერირებას, რომლებიც არ წარმოქმნიან საზიანო ხელშეშლას, ხოლო გადამცემის მიერ წარმოქმნილი არასასურველი რადიოტალღების გადასვლები (მაგ., მომიჯნავე არხებში), რომლებმაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიონ რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენების პოლიტიკის ამოცანებზე, შენარჩუნებულ უნდა იქნეს იმ დონეზე, რომ შესაძლებელი გახდეს საზიანო დაბრკოლებების თავიდან არიდება; მიმღების შემთხვევაში კი, შესრულების/ფუნქციონირების დონე უნდა საზიანო დაბრკოლებების რისკისგან დაცვას, კერძოდ, საერთო ან მომიჯნავე არხებისგან და ამ დროს, ხელს უნდა უწყობდეს საერთო ან მომიჯნავე არხების ეფექტურად გამოყენების გაუმჯობესებას.
- (11) მიუხედავად იმისა, რომ მიმღები თვითონ არ იწვევს საზიანო ხელშეშლას, მიღების შესაძლებლობა სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანია რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის კუთხით, საზიანო ხელშეშლისა და არასასურველი სიგნალების საწინააღმდეგო მიმღების მდგრადობის გაზრდის გზით, ევროგაერთიანების ჰარმონიზებული კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნების საფუძველზე.
- (12) ევროკავშირის ტერიტორიაზე, ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელია სხვა რადიოაპარატურასთან ქსელური ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფა და შესაბამისი სახის ინტერფეისის მეშვეობით დაკავშირება. რადიოაპარატურა და აქსესუარები, მაგალითად დამმუხტავი (დამტენი), ამარტივებენ რადიოაპარატურის გამოყენებას და ამცირებენ არასაჭირო ნარჩენებს და ხარჯებს. აუცილებელია ძალისხმევის განახლება რადიოაპარატურის გარკვეული კატეგორიებისთვის ან კლასებისთვის საერთო დამმუხტავის (დამტენის) შემუშავების კუთხით, კერძოდ, მომხმარებლების და სხვა ბოლო მომხმარებლების სასარგებლოდ; შესაბამისად, აუცილებელია ამ სფეროსთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინება წინამდებარე დირექტივაში. კერძოდ, ბაზარზე არსებული მობილური ტელეფონები თავსებადი უნდა იყოს საერთო დამტენთან.
- (13) რადიოაპარატურის მომხმარებლების და აბონენტების პერსონალური მონაცემების და კონფიდენციალურობის დაცვა, ასევე, ნებისმიერი სახის თაღლითობიდან დაცვა შეიძლება გაუმჯობესებულ იქნას რადიოაპარატურის გარკვეული მახასიათებლებით. შესაბამის შემთხვევაში რადიოაპარატურის დამზადების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული მახასიათებლები.
- (14) რადიოაპარატურა მნიშვნელოვანია სასწრაფო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. რადიოაპარატურა იმგვარად უნდა იყოს შექმნილი რომ ამარტივებდეს ამგვარი მომსახურებების ხელმისაწვდომობას.
- (15) რადიოაპარატურა მნიშვნელოვანია უნარშეზღუდული ადამიანების კეთილდღეობის და დასაქმების უზრუნველსაყოფად, რომლებიც წარმოადგენენ წევრი ქვეყნების

მოსახლეობის არსებით და მზარდ ფენას. ამდენად, რადიოაპარატურა იმგვარად უნდა იყოს შექმნილი რომ ცალკეულ შემთხვევებში უნარშეზღუდულმა პირებმა გამოიყენონ ის მინიმალური ადაპტაციით ან მის გარეშე.

- (16) რადიოაპარატურის ზოგიერთი კატეგორიის შესაბამისობა დირექტივაში ასახულ არსებით მოთხოვნებთან შეიძლება დაექვემდებაროს არსებული პროგრამების მოდიფიკაციას ან ჩართვას. მომხმარებელს, რადიოაპარატურას ან მესამე მხარეს უნდა შეეძლოს პროგრამის ჩატვირთვა რადიოაპარატურაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული არ უქმნის საფრთხეს რადიო ტექნიკის შემდგომ შესაბამისობას არსებით მოთხოვნებთან.
- (17) ამ დირექტივის ზოგიერთი არაარსებითი ელემენტის შესავსებად ან შესაცვლელად, აქტების მიღების უფლებამოსილება ევროკავშირის ფუნქციონირების კონვენციის (TFEU)-ს 290 მუხლის თანახმად უნდა იქნეს დელეგირებული კომისიაზე. მნიშვნელოვანია რომ კომისიამ ჩაატაროს შესაბამისი კონსულტაციები მოსამზადებელი სამუშაოების დროს, მათ შორის ექსპერტთა დონეზე. კომისიამ, დელეგირებული აქტების მომზადებისას და შედგენისას, უნდა უზრუნველყოს, შესაბამისი დოკუმენტების სინქრონული, დროული და სათანადო გადაცემა ევროპის პარლამენტში და საბჭოში.
- (18) მომხმარებლის და აბონენტის კონფიდენციალურობის და პერსონალური მონაცემების დაცვის საჭიროებების ეფექტურად დასარეგულირებლად, გაყალბებისაგან დასაცავად, საგანგებო სიტუაციებში ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, უნარშეზღუდულ პირთა მიერ გამოსაყენებლად ან რადიო ტექნიკის და პროგრამის არასათანადო კომბინაციების აღსაკვეთად, აქტების მიღების უფლებამოსილება TFEU -ს 290 მუხლის თანახმად, უნდა იქნეს დელეგირებული კომისიაზე, რადიო ტექნიკის კატეგორიების ან კლასების სპეციფიკაციებთან გამომდინარე რომლებიც შესაბამისობაში უნდა იყვნენ ერთ ან მეტ დამატებით არსებით მოთხოვნებთან რომლებიც ფორმულირებულია დირექტივაში და არეგულირებს ამ მოთხოვნებს.
- (19) რადიოაპარატურის პროგრამულ უზრუნველყოფის კომბინაციასთან შესაბამისობის შემოწმება არ უნდა იყოს დარღვეული, რათა არ მოხდეს მისი გამოყენება იმ პროგრამული უზრუნველყოფი, რომელიც მოწოდებულია დამოუკიდებელი მხარეების მიერ. სახელმწიფო ორგანოების, მწარმოებლების და ინფორმაციის მომხმარებლების ინფორმირებულობა რადიოაპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის განზრახული კომბინაციების შესაბამისობის შესახებ ხელს უნდა უწყობდეს კონკურენტულობის ზრდას. TFEU -ს 290-ე მუხლის თანახმად, ამ მიზნების მისაღწევად აქტების მიღების უფლებამოსილება იმ რადიოაპარატურის კატეგორიების ან კლასების სპეციფიკაციებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაცია რადიო აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის განზრახული კომბინაციების ამ დირექტივაში მოცემულ არსებით მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უნდა იქნეს დელეგირებული კომისიაზე.
- (20) მოთხოვნა, რომელიც ეხება ცენტრალურ სისტემაში ბაზარზე გასატანი რადიო ტექნიკის რეგისტრაციას, ზრდის ბაზრის ზედამხედველობის ეფექტურობას და ეფექტიანობას და ამდენად უზრუნველყოფს ამ დირექტივასთან შესაბამისობის მაღალ დონეს. ამგვარი მოთხოვნა დამატებით ტვირთს უწევს ეკონომიკურ ოპერატორებს და ამდენად უნდა დაინერგოს რადიომოწყობილობების მხოლოდ იმ

კატეგორიებისთვის, სადაც არ არის მიღწეული მაღალი დონის შესაბამისობა. ამგვარი მოთხოვნის დანერგვის უზრუნველსაყოფად, აქტების მიღების უფლებამოსილება TFEU -ს 290 მუხლის თანახმად უნდა იქნეს დელეგირებული კომისიაზე, რომელიც შეეხება რადიო ტექნიკის კატეგორიების სპეციფიკაციებს, რომლებიც მწარმოებლებმა უნდა დაარეგისტრონ ცენტრალურ სისტემაში და ტექნიკური დოკუმენტაციის ელემენტები, რომლებიც უნდა იქნენ უზრუნველყოფილი რადიომოწყობილობების შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის ფარგლებში, რომლებიც ასევე წევრი სახელწიფოები და უნდა მოწოდებული, მას შემდეგ, რაც განხორციელდება არსებით მოთხოვნებთან შეუსაბამობის რისკების შეფასება.

- (21) რადიოაპარატურა, რომელიც შესაბამისობაშია არსებით მოთხოვნებთან თავისუფლად უნდა იყოს გაშვებული მიმოქცევაში. ამგვარი ტექნიკის გამოყენება უნდა იქნეს ნებადართული შესაბამისი მიზნებით, რადიო სპექტრის გამოყენების ნებართვების და წესების შესაბამისად და მომსახურების გაწევის მიზნით.
- (22) რადიო ტექნიკით შიდა ბაზარზე ვაჭრობის უსარგებლო ბარიერების თავიდან აცილების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა, 98/34/ EC დირექტივის საფუძველზე, უნდა აცნობონ ევროპის პარლამენტს და საბჭოს⁹, სხვა წევრ სახელმწიფოებს და კომისიას მათი პროექტების შესახებ ტექნიკური რეგულირების სფეროში, როგორცაა რადიო ინტერფეისები, თუკი ეს ტექნიკური რეგლამენტები ნებას რთავენ წევრ ქვეყნებს დაემორჩილონ ევროკავშირის სავალდებულო აქტებს, როგორცაა კომისიის გადაწყვეტილებები რადიო სპექტრის ჰარმონიზებული გამოყენების შესახებ, რომელიც მიღებულია ევროპის პარლამენტის და საბჭოს¹⁰ N 676/2002 გადაწყვეტილებით ან როდესაც ისინი შესაბამისობაში არიან რადიოაპარატურასთან, რომელიც შეიძლება იქნეს გამოყენებული ევროკავშირის მხრიდან რაიმე შეზღუდვის დაწესების გარეშე.
- (23) რეგულირებული რადიო ინტერფეისების ექვივალენტურობის და მათი გამოყენების პირობების შესახებ ინფორმაციის მოწოდება ამცირებს რადიო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ბარიერებს შიდა ბაზრისთვის. ამდენად, კომისიამ უნდა შეაფასოს და დაადგინოს რეგულირებული რადიო ინტერფეისების ექვივალენტურობა და ამგვარი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს რადიო ტექნიკის კლასების ფორმით.
- (24) კომისიის 2007 /344 EC¹¹ გადაწყვეტილების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები უნდა იყენებდნენ ევროპის კომუნიკაციების ოფისის (ECO) სიხშირის საინფორმაციო სისტემას (EFIS) იმისათვის, რომ რადიო სპექტრის გამოყენების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის თითოეულ წევრ სახელმწიფოში ინტერნეტის საშუალებით. მწარმოებლებს შეუძლიათ მოიძიონ EFIS სიხშირის ინფორმაცია წევრი ქვეყნებისთვის მანამდე, ვიდრე რადიოაპარატურას განათავსებენ ბაზარზე და ამდენად შეაფასებენ თუ რა პირობებში შეიძლება ამგვარი რადიო ტექნიკის გამოყენება წევრ ქვეყნებში. ამდენად, არ არის

⁹ ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა 98/34/EC, 22 ივნისი 1998, ტექნიკური სტანდარტების და რეგულირების სფეროში ინფორმაციის მოწოდების პროცედურის შესახებ და ინფორმაციის საზოგადოებრივი სამსახურების წესების (OJ L 204, 21.7.1998, გვ. 37).

¹⁰ ევროპის პარლამენტის და საბჭოს გადაწყვეტილება No 676/2002/EC, 7 მარტი 2002, მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ რადიო სპექტრის სტრატეგიის შესახებ ევროკავშირში (რადიო სპექტრის შესახებ გადაწყვეტილება) (OJ L 108, 24.4.2002, გვ. 1).

¹¹ კომისიის გადაწყვეტილება 2007/344/EC, მისი 16, 2007, ინფორმაციის ჰარმონიზებული ხელმისაწვდომობის შესახებ რომელიც შეეხება გამოყენების სპექტრს ევროკავშირში (OJ L 129, 17.5.2007, p. 67).

საჭირო ამ დირექტივაში დამატებითი დებულებების ჩამატება, როგორცაა წინასწარ შეტყობინება, რაც საშუალებას აძლევს მწარმოებლებს იყვნენ ინფორმირებული რადიო ტექნიკის გამოყენების პირობების შესახებ არა-ჰარმონიზებული სიხშირის დიაპაზონის გამოყენებით.

- (25) კვლევისა და დემონსტრირების მიზნებისათვის, სავაჭრო ურთიერთობების, გამოფენების და მსგავსი ღონისძიებების კონტექსტში, შესაძლებელი უნდა იყოს რადიოტექნიკის გამოფენა რომლებიც არ შეესაბამებიან ამ დირექტივას და ამდენად ვერ განთავსდებიან ბაზარზე იმ პირობით, რომ გამოფენაზე მოწყობილობის განმთავსებლები უზრუნველყოფენ საკმარისი ინფორმაციას მიწოდებას დამსწრე საზოგადოებისათვის.
- (26) ეკონომიკური ოპერატორები უნდა იყვნენ პასუხისმგებელი რადიო ტექნიკის შესაბამისობაზე ამ დირექტივასთან, მათი პერსპექტიული როლის გათვალისწინებით მიწოდების ჯაჭვში იმისათვის, რომ უზრუნველყონ პირების და შინაური ცხოველების და ქონების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მაღალ დონეზე დაცვა, უზრუნველყონ ელექტრომაგნიტური შესაბამისობის ადექვატური დონე, რადიო სპექტრის ეფექტური და ეფექტიანი გამოყენება და სხვა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მაღალი დონე, ბაზარზე თანაბარი კონკურენცია.
- (27) ყველა ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც მონაწილეობს მიწოდების და განაწილების ქსელში, უნდა იღებდეს შესაბამის ზომებს რათა ბაზარზე განათავსონ რადიოაპარატურა, რომელიც შეესაბამება ამ დირექტივას. საჭიროა ვალდებულებების ნათელი გამიჯვნა, რომელიც შეეხება თითოეული ეკონომიკური ოპერატორის როლს მიწოდების და განაწილების ქსელში.
- (28) ეკონომიკურ ოპერატორებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, ბაზრის მარეგულირებელმა ორგანოებმა და წევრმა ქვეყნებმა უნდა წახალისონ ეკონომიკური ოპერატორები, რათა მათ დაურთონ ვებ-გვერდის მისამართი საფოსტო მისამართთან ერთად.
- (29) მწარმოებელი, რომელსაც გააჩნია დიზაინის და წარმოების პროცესის დეტალური ცოდნა, ყველაზე უკეთ შეძლებს განახორციელოს შესაბამისობის შეფასების პროცედურას. ამდენად, შესაბამისობის შეფასება უნდა იყოს მხოლოდ მწარმოებლის ვალდებულება.
- (30) მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი ინფორმაციის მიწოდება რადიო ტექნიკის გამოყენების მიზნების შესახებ. ამგვარი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს აქსესუარების აღწერილობას, როგორცაა ანტენები და კომპონენტების აღწერილობა, როგორცაა პროგრამა და რადიოტექნიკის დამონტაჟების პროცესის სპეციფიკაციები.
- (31) მოთხოვნა, რომელიც 1999/5 EC დირექტივაშია ასახული და რომელიც მოიცავს ევროგაერთიანების შესაბამისობის დეკლარაციას ტექნიკის შესახებ, ამარტივებს და ხელს უწყობს ბაზრის ზედამხედველობის ეფექტურობას. ევროგაერთიანების შესაბამისობის შესახებ გამარტივებული დეკლარაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობა არ ამცირებს მის ეფექტურობას და ამდენად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ამ დირექტივაში. გარდა ამისა, ევროგაერთიანების შესაბამისობის დეკლარაციის ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ევროგაერთიანების შესაბამისობის გამარტივებული დეკლარაციისა,

შესაძლებელი უნდა იყოს მისი დაკვრა რადიო ტექნიკის შეფუთვაზე.

- (32) საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ მესამე ქვეყნებიდან შემოტანილი რადიოაპარატურა რომლებიც ევროგაერთიანების ბაზარზე ხვდება, შესაბამისობაში იყოს ამ დირექტივასთან; კერძოდ, მწარმოებელმა უნდა განახორციელოს რადიოაპარატურასთან დაკავშირებული შესაბამისობის შეფასების პროცედურები. იმპორტიორებისათვის უნდა დაწესდეს რეგულირება იმისთვის, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურა შესაბამისობაში იყოს ამ დირექტივის დაწესდეს იმპორტიორებისათვის იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩატარდეს შესაბამისობის შეფასების პროცედურები და რადიო ტექნიკის ნიშანდება და დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყოს ინსპექტირებისათვის კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მიერ.
- (33) რადიო ტექნიკის ბაზარზე განთავსებისას, ყველა იმპორტიორმა უნდა მიუთითოს რადიოაპარატურაზე მისი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საფოსტო მისამართი. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც რადიოტექნიკის ზომა ან სახეობა აღნიშნულის საშუალებას არ იძლევა. ეს გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც იმპორტიორმა უნდა გახსნას შეფუთვა იმისათვის რომ მისი სახელი და მისამართი დააკრას რადიოაპარატურას.
- (34) დისტრიბუტორი განათავსებს რადიოაპარატურას ბაზარზე მწარმოებლის ან იმპორტიორის მიერ აღნიშნული ტექნიკის ბაზარზე განთავსების შემდგომ. ის იმგვარად უნდა მოეპყროს რადიოაპარატურას, რომ არ დააზიანოს მისი შესაბამისობა.
- (35) ნებისმიერმა ეკონომიკურმა ოპერატორმა, რომელიც განათავსებს რადიოაპარატურას ბაზარზე საკუთარი სახელით ან სავაჭრო ნიშნით ან შეცვლის რადიოაპარატურას იმგვარად, რომ ამ დირექტივასთან შესაბამისობა შეიძლება ხელყოფილი იქნეს, მიჩნეულ უნდა იქნეს მწარმოებლად და აიღოს მწარმოებლის ვალდებულებები.
- (36) დისტრიბუტორები და იმპორტიორები, რომლებიც მოღვაწეობენ ბაზარზე, უნდა მონაწილეობდნენ ბაზრის ზედამხედველობის ამოცანების უზრუნველყოფაში, რომლებსაც ახორციელებენ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები; ისინი მზად უნდა იყვნენ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ და მიაწოდონ აღნიშნულ ორგანოებს ყველა საჭირო ინფორმაცია რადიოაპარატურასთან დაკავშირებით.
- (37) რადიოაპარატურის მოკვლევადობის უზრუნველყოფა მთლიან მოწოდების ჯაჭვში ამარტივებს და უფრო ეფექტურს ხდის ბაზრის ზედამხედველობას. ეფექტური მოკვლევადობის სისტემა ეხმარება ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს, მოიკვლიონ ეკონომიკური ოპერატორები რომლებიც ათავსებენ შეუსაბამო რადიოაპარატურას ბაზარზე. ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციის წარმოებისას, ამ დირექტივის შესაბამისად, ეკონომიკურ ოპერატორებს არ მოეთხოვებათ, განახლონ ამგვარი ინფორმაცია სხვა ეკონომიკურ ოპერატორებთან მიმართებით რომლებმაც მათ მიაწოდეს რადიოაპარატურა ან რომლებსაც მათ მიაწოდეს რადიოაპარატურა.
- (38) ეს დირექტივა უნდა შემოიფარგლებოდეს არსებითი მოთხოვნების დაფიქსირებით. ამ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია იმ რადიოაპარატურის შესაბამისობის პრეზუმპციის უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისობაშია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს¹² ევროგაერთიანებ 1025/2012

¹² ევროპის პარლამენტის და საბჭოს რეგულაცია (EU) No 1025/2012, 25 ოქტომბერი, 2012 ევროპული

ევრორეგულაციის თანახმად, ამ მოთხოვნების დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციების გამოხატვის მიზნით, მიღებულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან.

- (39) ევროგაერთიანების N 1025/2012 ევრორეგულაცია ადგენს გასაჩივრების პროცედურას ჰარმონიზებული სტანდარტების მიმართ იქ, სადაც ეს სტანდარტები მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ამ დირექტივის მოთხოვნებს.
- (40) იმისთვის, რომ ეკონომიკურმა ოპერატორებმა უჩვენონ და კომპეტენტურმა ორგანოებმა გარანტირებულჰყონ ბაზარზე განთავებული რადიოაპარატურის შესაბამისობა არსებით მოთხოვნებთან, მნიშვნელოვანია შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავება. N 768/2008/EC გადაწყვეტილება ადგენს მოდულებს შესაბამისობის შეფასების პროცედურებისათვის, რომლებიც მოიცავს პროცედურების ყველაზე უფრო ფართო სპექტრს დაკავშირებული რისკის და მოთხოვნილი უსაფრთხოების დონის პროპორციულად. დარგთაშორისი თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად და საგანგებო ვარიანტების თავიდან ასაცილებლად, შესაბამისობის შეფასების პროცედურები ამ მოდულებს შორის უნდა იქნეს შერჩეული.
- (41) მწარმოებლებმა უნდა შეიმუშაონ EU შესაბამისობის დეკლარაცია, რათა უზრუნველყონ ამ დირექტივითა და ევროგაერთიანების სხვა ჰარმონიზებული კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია. ევროგაერთიანებ
- (42) ინფორმაციის ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ბაზრის ზედამხედველობის მიზნებისათვის, ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ევროგაერთიანების ყველა შესაბამისი აქტების იდენტიფიცირებისათვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ევროგაერთიანების შესაბამისობის ერთ დეკლარაციაში. ეკონომიკური ოპერატორებისათვის ადმინისტრაციული ტვირთის შესამსუბუქებლად, შესაბამისობის აღნიშნული ერთი დეკლარაცია შეიძლება იყოს ერთიანი დოკუმენტი (საქმე), რომელიც შედგება შესაბამისობის ინდივიდუალური დეკლარაციებისაგან.
- (43) CE ნიშანდება, რომელიც მიუთითებს რადიოაპარატურის შესაბამისობაზე, წარმოადგენს მთლიანი პროცესის ხილულ შედეგს, რომელიც შეადგენს შესაბამისობის შეფასებას ფართო კონტექსტში. CE ნიშანდების ზოგადი პრინციპები მოცემულია (EC) No 765/2008 რეგულაციაში. CE ნიშანდების განთავსების წესები უნდა იყოს ჩადებული ამ დირექტივაში.
- (44) CE ნიშანდების განთავსების მოთხოვნა პროდუქციაზე მნიშვნელოვანია მომხმარებლებისა და სახელმწიფო ორგანოების ინფორმირებულობის მიზნებისათვის. CE ნიშანდების შეზღუდვით გამოყენება მცირე ზომის ტექნიკაზე, რაც რეგულირდება 1999/5/EC დირექტივით, იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული ნიშანდება ხილული და წაკითხვადია, იძლევა ამ აპარატურის გამარტივებულად გამოყენების საშუალებას მისი ეფექტურობის შემცირების გარეშე, და ამდენად, შეტანილი უნდა იყოს ამ დირექტივაში.
- (45) 1999/5/EC დირექტივაში დაფიქსირებული მოთხოვნა რომელიც ეხება CE ნიშანდების

სტანდარტიზაციის შესახებ, ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივების 89/686/EEC და 93/15/EEC დადირექტივის 94/9/EC, 94/25/EC, 95/16/EC, 97/23/EC, 98/34/EC, 2004/22/EC, 2007/23/EC, 2009/23/EC და 2009/105/EC ცვლილებები რომლებიც შეეხება ევროპის პარლამენტის და საბჭოს 87/95/EEC და 1673/2006/EC გადაწყვეტილებების გაუქმებას (OJ L 316, 14.11.2012, p. 12).

განთავსებას შეფუთვაზე ამარტივებს ბაზრის ზედამხედველობის ამოცანას, და ამდენად, შეტანილი უნდა იყოს ამ დირექტივაში.

- (46) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ რადიოაპარატურის ხელმისაწვდომობა ბაზარზე მხოლოდ მაშინ, როდესაც სათანადოდ დამონტაჟებისა და დადგენილი მიზნების შესაბამისად გამოყენების შემდეგ აღნიშნული აპარატურა შესაბამისობაში იქნება ამ დირექტივის არსებით მოთხოვნებთან; და იმ შემთხვევაში, როდესაც არსებითი მოთხოვნა ადგენს, რომ აღნიშნულმა რადიოაპარატურამ უნდა უზრუნველყოს პირების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების და ქონების დაცვა, გონივრულად გათვალისწინებული სარგებლობის პირობების შესაბამისად. რადიოაპარატურა მიიჩნევა ამ არსებით მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მხოლოდ გამოყენების იმ პირობებში რომელიც შეიძლება გონივრულად იქნენ გათვალისწინებულნი, ანუ როდესაც ამგვარი გამოყენება გამომდინარეობს კანონიერი და წინასწარ განჭვრეტადი ქმედებიდან.
- (47) ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპების პირობებში, რომლებიც მიისწრაფვიან უქაღალდო გარემოს შექმნისაკენ, სადაც რადიო აპარატურა განთავსებულია ინტეგრირებულ ეკრანთან, კომისიამ უნდა შეამოწმოს, როგორც ამ დირექტივის ფუნქციონირების განხილვის ნაწილი, მწარმოებლის სახელის, რეგისტრირებული სავაჭრო დასახელების ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნის და ერთი პუნქტის ან საფოსტო მისამართის, CE ნიშანდების და ევროგაერთიანების შესაბამისობის დეკლარაციის განთავსების მოთხოვნის ჩანაცვლებადობა იმ ფუნქციით, სადაც ამგვარი ინფორმაცია ავტომატურად გამოისახება რადიოაპარატურის ჩართვისას ან იმ ფუნქციით რომელიც საშუალებას აძლევს საბოლოო მომხმარებელს აირჩიოს შესაბამისი ინფორმაციის გამოსახულება. გარდა ამისა, როგორც ამ განხორციელებადობის შემოწმების ნაწილი, სადაც ინტეგრირებულ ეკრანთან განთავსებული რადიოაპარატურა ფუნქციონირებს ინტეგრირებული აკუმულატორის საშუალებით, რომელიც საწყის დამუხტვას არ ინარჩუნებს, კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ინტეგრირებულ ეკრანზე დასაკრავი გამჭვირვალე იარაღების გამოყენება, რომლებზეც ასახულია იგივე ინფორმაცია.
- (48) შესაბამისობის შეფასების გარკვეული პროცედურები, რომლებიც ამ დირექტივაშია მოცემული, საჭიროებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების ჩარევას, რომლებიც წევრი ქვეყნების მიერ უფლებამოსილნი არიან კომიის წინაშე.
- (49) გამოცდილება ცხადყოფს, რომ კრიტერიუმები რომლებიც განთავსებულია 1999/5/EC დირექტივაში, რომლებიც შესაბამისობის შემფასებელმა ორგანოებმა უნდა შეასრულონ, არ არის საკმარისი ევროგაერთიანებაში ამგვარი ორგანოების მუშაობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ორგანო ასრულებს თავის ფუნქციებს იმავე დონეზე და თანაბარი კონკურენციის პირობებში. აღნიშნული მოითხოვს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის სავალდებულო მოთხოვნების ჩამოყალიბებას, რომლებიც უნდა იყვნენ გაფრთხილებული, შესაბამისობის შეფასების მომსახურების გასაწევად.
- (50) თუ შესაბამისობის შემფასებელი ორგანო უჩვენებს შესაბამისობას ჰარმონიზებულ სტანდარტებში განსაზღვრულ კრიტერიუმებთან, უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ის შესაბამისობაშია შესაბამის მოთხოვნებთან რომლებიც ამ დირექტივაშია ჩამოყალიბებული.

- (51) შესაბამისობის შეფასების ხარისხის თანმიმდევრული დონის უზრუნველსაყოფად, ასევე საჭიროა დადგინდეს მოთხოვნები შემფასებელი ორგანოებისათვის და სხვა ორგანოებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ შეფასებაში, შეტყობინებაში და შემფასებელი ორგანოების მონიტორინგში.
- (52) ამ დირექტივაში მოცემული სისტემა უნდა იყოს შევსებული აკრედიტაციის სისტემით, რომელიც მოცემულია (EC) No 765/2008 რეგულაციაში. ვინაიდან აკრედიტაცია წარმოადგენს არსებით საშუალებას შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების კომპეტენციის შესამოწმებლად, ის ასევე უნდა იქნეს გამოყენებული შეტყობინების მიზნებისათვის.
- (53) გამჭვირვალე აკრედიტაცია, რომელიც მოცემულია (EC) No 765/2008 რეგულაციაში, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისობის სერტიფიკატების საიმედოობის საჭირო დონეს, უნდა იქნეს გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოების მიერ ევროგაერთიანების მასშტაბით, როგორც შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების ტექნიკური კომპეტენციის დემონსტრირების უპირატესი საშუალება. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლება შეიძლება მიიჩნევდეს, რომ ის ფლობს შესაბამის საშუალებებს აღნიშნული შეფასების თავად განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში, სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული შეფასებების საიმედოობის შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად, მათ უნდა მიაწოდონ კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც უჩვენებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების შესაბამისობას შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნებთან.
- (54) შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები ხშირად თავიანთი საქმიანობის ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისობის შეფასებასთან, გასცემენ ქვეკონტრაქტით ან მიმართავენ ფილიალებს. ევროპის ბაზრებზე განსათავსებელი რადიოაპარატურის დაცვის დონის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისობის შემფასებელმა ქვეკონტრაქტორებმა და ფილიალებმა შეასრულონ იგივე მოთხოვნა, რაც ეკისრებათ შემფასებელ ორგანოებს შესაბამისობის შეფასების ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ კომპეტენტურობის შეფასება და შემფასებელი ორგანოების მუშაობა და უკვე შემფასებელი ორგანოების მონიტორინგი ასევე მოიცავდეს საქმიანობს რომლებსაც ახორციელებენ ქვეკონტრაქტორები და ფილიალები.
- (55) საჭიროა შეტყობინების პროცედურის ეფექტიანობის და გამჭვირვალეობის გაზრდა და კერძოდ, ახალი ტექნოლოგიების ადაპტირება, ონლაინ შეტყობინებების დასანერგად.
- (56) ვინაიდან შემფასებელი ორგანოები შეიძლება თავაზობდნენ თავიანთ მომსახურებას ევროგაერთიანების მასშტაბით, წევრ სახელმწიფოებს და კომისიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულება შემფასებელი ორგანოს მიმართ. ამდენად, მნიშვნელოვანია პერიოდის განსაზღვრა, რომლის განმავლობაშიც ნებისმიერი ეჭვი ან შეშფოთება შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების კომპეტენციასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს გარკვეული, ვიდრე ისინი დაიწყებენ ფუნქციონირებას.
- (57) კონკურენციის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია რომ შემფასებელმა ორგანომ გამოიყენოს შესაბამისობის შეფასების პროცედურები ეკონომიკურ ოპერატორებზე უსარგებლო ტვირთის დაკისრების გარეშე. იმავე მიზეზით, და ეკონომიკური

ოპერატორების თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისობის შეფასების პროცედურების ტექნიკური გამოყენების რეგულირება.

- (58) სამართლებრივი სიცხადის შესატანად, საჭიროა განიმარტოს, რომ წესები ევროგაერთიანების ბაზრის ზედამხედველობაზე და ევროგაერთიანების ბაზრებზე განთავსებული პროდუქციის კონტროლზე, რომლებიც მოცემულია (EC) No 765/2008 რეგულაციაში, ვრცელდება რადიოაპარატურაზე რომელიც ამ დირექტივით არის განსაზღვრული. ეს დირექტივა არ უნდა ზღუდავდეს წევრ ქვეყნებს, აირჩიონ კომპეტენტური ორგანოები ამ ამოცანების განსახორციელებლად.
- (59) 1999/5/EC დირექტივა უკვე ადგენს უსაფრთხოების პროცედურებს რომლებიც ვრცელდება მხოლოდ იმ შემთვევაში თუკი არსებობს უთანხმოება წევრ სახელმწიფოებს შორის იმ ზომების თაობაზე, რომლებსაც ატარებს წევრი სახელმწიფო. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და წარმოების დროის შესამცირებლად, საჭიროა არსებული უსაფრთხოების პროცედურის გაუმჯობესება, მისი ეფექტურობის გაზრდა და წევრ სახელმწიფოებში არსებულ კომპეტენციაზე დაყრდნობა.
- (60) კომისიის გადაწყვეტილება რომელიც მიღებულია No 676/2002/EC გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება მოიცავდეს რადიოსპექტრის ხელმისაწვდომობასთან და მის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებულ პირობებს, რასაც შეიძლება შედეგად მოყვეს გამოყენებული რადიოაპარატურის ერთეულების მთლიანი რაოდენობის შეზღუდვა, მაგალითად შეთანხმებული თარიღისათვის (ე.წ. „sunset“ თარიღისათვის), პენტრაციის მაქსიმალური დონის ან თითოეულ წევრ ქვეყანაში რადიოაპარატურის ერთეულების მაქსიმალური რაოდენობის. ეს პირობები აძლევს ბაზარს საშუალებას, იყოს გახსნილი ახალი რადიოაპარატურისათვის და ამავდროულად ამცირებს გამოყენებული რადიოაპარატურის ერთეულების ჭარბი რაოდენობის აკუმულირების საზიანო ჩარევის რისკს, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული აპარატურა ინდივიდუალურად შესაბამისობაშია ამ დირექტივაში მოცემულ მოთხოვნებთან. ამგვარმა პირობების დარღვევამ შეიძლება შეუქმნას არსებით მოთხოვნებს რისკი, კერძოდ, წარმოქმნას საზიანო ჩარევის რისკი.
- (61) არსებული სისტემა უნდა შეივსოს პროცედურით, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი იქნებიან ზომების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს რადიოაპარატურასთან დაკავშირებით, რომელიც რისკს უქმნის პირების ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას ან დირექტივით გათვალისწინებული საზოგადო ინტერესების დაცვის სხვა ასპექტებს. აღნიშნული ასევე საშუალებას უნდა აძლევდეს ბაზარზე დამკვირვებელ ორგანოებს, ეკონომიკურ ოპერატორებთან თანამშრომლობის გზით იმოქმედონ ადრეულ ეტაპზე ამგვარ აპარატურასთან დაკავშირებით.
- (62) სადაც წევრი ქვეყნები და კომისია თანხმდება წევრი ქვეყნის მიერ გატარებული ზომების მართლზომიერებაზე, კომისიის შემდგომი ჩარევა არ უნდა იყოს საჭირო, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შეუსაბამობა გამოწვეულია ჰარმონიზებული სტანდარტების ნაკლოვანებებით.
- (63) ამ დირექტივის განხორციელების უნიფიცირებული პირობების უზრუნველყოფის

მიზნით, განმახორციელებელი უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს კომისიას. ეს უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს¹³(EU) No 182/2011 რეგულაციის შესაბამისად.

- (64) სარეკომენდაციო პროცედურა უნდა იყოს გამოყენებული აღმასრულებელი აქტების დასაწერად, რომლებიც ადგენენ, თუ როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია გამოყენების შეზღუდვების შემთხვევებზე ან გამოყენების ავტორიზაციის არსებული მოთხოვნების შესახებ; შემტყობინებელ წევრ სახელმწიფოს უნდა მოეთხოვოს განახორციელოს მაკორექტირებელი ზომები შემფასებელი ორგანოს მიმართ, რომელიც აღნიშნული შეტყობინების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს.
- (65) შემოწმების პროცედურა უნდა იქნეს გამოყენებული განმახორციელებელი აქტების მისაღებად: უნდა განისაზღვროს ზოგიერთი კატეგორიის ელექტრონული ან ელექტრონული პროდუქცია შეესაბამება თუ არა „რადიოაპარატურის“ დეფინიციას; უნდა ჩამოყალიბდეს საოპერაციო წესები შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; უნდა შემუშავდეს საოპერაციო წესები რეგისტრაციისთვის და საოპერაციო წესები სარეგისტრაციო ნომრის მისანიჭებლად რადიოაპარატურისათვის; უნდა დადგინდეს ეკვივალენტობა ინფორმირებულ რადიო ინტერფეისებს შორის და მიენიჭოს რადიოაპარატურის კლასი. აღნიშნული ასევე უნდა იქნეს გამოყენებული შესაბამისი რადიოაპარატურისათვისაც, რომელიც უქმნის რისკს პირების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას ან საზოგადო ინტერესების დაცვის სხვა ასპექტებს.
- (66) კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს განმახორციელებელი აქტები, სადაც სათანადოდ დასაბუთებულ, გადაუდებელი მოთხოვნის აუცილებლობის საფუძველზე, იმ თავსებად რადიოაპარატურასთან დაკავშირებით რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.
- (67) დადგენილი პრაქტიკის ფარგლებში, კომიტეტი, რომელიც შექმნილია ამ დირექტივის საფუძველზე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმ საკითხების შესამოწმებლად, რომლებიც ეხება ამ დირექტივის ამოქმედებას და რომლებიც წამოჭრილია კომიტეტის თავმჯდომარის ან წევრი ქვეყნის წარმომადგენლის მიერ პროცედურული წესების შესაბამისად.
- (68) როდესაც მოწმდება ამ დირექტივასთან დაკავშირებული საკითხები, განხორციელების ან დარღვევის გარდა, მაგალითად, კომისიის ექსპერტთა ჯგუფში, ევროპის პარლამენტმა, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია და დოკუმენტაცია და სადაც ეს საჭიროა, შეხვედრებზე დასწრების მოწვევა.
- (69) კომისიამ, აქტების განხორციელების და მათი სპეციფიური ბუნებიდან გამომდინარე, (EU) No 182/2011 რეგულაციის ამოქმედების გარეშე, უნდა განსაზღვროს, არის თუ არა გამართლებული წევრი ქვეყნების მიერ განხორციელებული ზომები შეუსაბამო რადიოაპარატურასთან დაკავშირებით.
- (70) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ წესები ჯარიმებზე, რომლებიც

¹³ ევროპის პარლამენტის და საბჭოს რეგულაცია (EU) No 182/2011, თარიღი 16 თებერვალი, 2011 რომელიც ეხება წევრ სახელმწიფოებში კომისიის კონტროლის მექანიზმის წესების და ზოგადი პრინციპების შემუშავებას (OJ L 55, 28.2.2011, p. 13).

გამოიყენება ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული კანონდებლობის დებულებების დარღვევის შემთხვევაში და უნდა უზრუნველყონ წესების ამოქმედება. საჩივრები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და პრევენციული.

- (71) საჭიროა გარდამავალი რეგულაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის იმ რადიოაპარატურის წარმოებას და ექსპლუატაციას, რომელიც განთავსდა ბაზარზე 1999/5/EC დირექტივის შესაბამისად.
- (72) კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან.
- (73) ვინაიდან ამ დირექტივის მიზანი, კერძოდ კი ის, რომ ბაზარზე არსებული რადიოაპარატურა ასრულებდეს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მაღალ დონეზე დაცვის მოთხოვნას, უზრუნველყოფდეს ელექტრომაგნიტური შესაბამისობის ადეკვატურ დონეს და რადიო სპექტრის ეფექტურ და ეფექტიან გამოყენებას მავნე ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად და ამავდროულად უზრუნველყოფდეს შიდა ბაზრის სათანადო ფუნქციონირებას, ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების მიერ სრულყოფილად, გამომდინარე მისი მასშტაბებიდან და ეფექტიდან, იგი უკეთ მიიღწევა გაერთიანების დონეზე; ევროგაერთიანებამ უნდა გაატაროს ევროგაერთიანების კონვენციის მე-5-ე მუხლში მითითებული სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისი ზომები. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, რომელიც ამ მუხლშია მოცემული, ეს დირექტივა არ სცილდება იმ ფარგლებს, რომლებიც საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად.
- (74) 1999/5/EC დირექტივა უნდა გაუქმდეს.
- (75) განმარტებითი დოკუმენტაციის თაობაზე წევრი სახელმწიფოების და კომისიის 2011 წლის 28 სექტემბრის ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაციის თანახმად¹⁴, წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, ნებადართულ შემთხვევებში, დაურთონ ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე დანრგვის ზომების შესახებ განმარტებითი სახის ერთი ან მეტი დოკუმენტი, რომელიც აღწერს ურთიერთობას დირექტივის კომპონენტებსა და ქვეყნის ტრანსპოზიციის ინსტრუმენტების შესაბამის ნაწილებს შორის. ამ დირექტივასთან მიმართებაში კანონმდებელი მართებულად მიიჩნევს ამგვარი დოკუმენტაციის გადაცემას.

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

საგანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დირექტივა ადგენს მარეგულიერებელ ჩარჩოს რადიოაპარატურის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და მის ექსპლუატაციაზე

¹⁴OJ C 369, 17.12.2011, გვ. 14

ევროგაერთიანების ტერიტორიაზე.

2. ეს დირექტივა არ ვრცელდება 1-ელ დანართში ჩამოთვლილ აპარატურაზე.

3. ეს დირექტივა არ ვრცელდება რადიოაპარატურაზე, რომელიც ექსკლუზიურად გამოიყენება ისეთი საქმიანობისათვის როგორცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოება, თავდაცვა, სახელმწიფო უსაფრთხოება, და, მათ შორის, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობა იმ საქმიანობის შემთხვევაში, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო უშიშროების საკითხებს და სახელმწიფოს საქმიანობას სისხლის სამართლის სფეროში.

4. რადიოაპარატურა, რომელზეც ვრცელდება ეს დირექტივა, არ დაექვემდებარება 2014/35/EU დირექტივას, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ამ დირექტივის 3.1 მუხლის ა) პუ-ნქტშია მითითებული.

მუხლი 2 განმარტებები

განმარტებები

1. ამ დირექტივის მიზნებისათვის, გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

- (1) „რადიოაპარატურა“ ნიშნავს ელექტულ ან ელექტრონულ პროდუქტს, რომელიც გამიზნულად ასხივებს და/ან მიიღებს რადიოტალღებს რადიო კომუნიკაციის და/ან რადიოდეტერმინაციის მიზნებისათვის, ან ელექტრულ ან ელექტრონულ პროდუქტს, რომელიც უნდა შეივსოს აქსესუარებით, როგორცაა ანტენა, იმისათვის რომ მიზნობრივად გადასცეს და/ან მიიღოს რადიო ტალღები რადიოკომუნიკაციის და/ან რადიოდეტერმინაციის მიზნით;
- (2) „რადიოკომუნიკაცია“ ნიშნავს კომუნიკაციას რადიო ტალღების მეშვეობით;
- (3) „რადიოდეტერმინაცია“ ნიშნავს ობიექტის პოზიციის, სიჩქარის და/ან სხვა მახასიათებლების განსაზღვრას ან ინფორმაციის მოპოვებას ამ პარამეტრებთან დაკავშირებით, რადიოტალღების გავრცელებისთვისებურებებთან დაკავშირებით.
- (4) „რადიოტალღები“ ნიშნავს 3 000 გჰც- ზე დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღებს, რომლებიც ვრცელდება სივრცეში ხელოვნურად მიმართვის გარეშე.
- (5) „რადიოინტერფეისი“ ნიშნავს რადიო სპექტრის რეგულირებული გამოყენების სპეციფიკაციას;
- (6) „რადიოაპარატურის კლასი“ ნიშნავს კლასს, რომელიც ახდენს კონკრეტული კატეგორიის რადიოაპარატურის იდენტიფიკაციას, ამ დირექტივის შესაბამისად, და მიიჩნევა იმ რადიოინტერფეისის მსგავსი, რომლისთვისაც რადიოაპარატურა არის შექმნილი;
- (7) „მავენე ზემოქმედება“ ნიშნავს ზემოქმედებას რომელიც განმარტებულია ევროპის პარლამენტის და საბჭოს¹⁵ 2002/21/EC დირექტივის 2 მუხლის (ს) ქვე-პუნქტში;
- (8) „ელექტრომაგნიტური ზემოქმედება“ ნიშნავს ელექტრომაგნიტურ ზემოქმედებას რომელიც განმარტებულია 2014/30/EU დირექტივის 3.1 მუხლის 5 პუნქტში;
- (9) „ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ ნიშნავს რადიოაპარატურის ნებისმიერ მიწოდებას გასანაწილებლად, მოსახმარებლად ან ევროკავშირის ბაზარზე გამოსაყენებლად კომერციული საქმიანობების პროცესში, ანაზღაურების სანაცვლოდ ან უსასყიდლოდ;
- (10) „ბაზარზე განთავსება“ ნიშნავს ევროკავშირის ბაზარზე რადიოაპარატურის პირველ ხელმისაწვდომობას;
- (11) „ექსპლუატაციაში გაშვება“ ნიშნავს რადიოაპარატურის პირველ გამოყენებას ევროკავშირში მისი საბოლოო მომხმარებლის მიერ;
- (12) „მწარმოებელი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რომელიც აწარმოებს რადიოაპარატურას და ყიდის აღნიშნულ აპარატურას მისი სახელით ან სავაჭრო ნიშნით;
- (13) „ავტორიზებული წარმომადგენელი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რომელიც შექმნილია ევროკავშირის ფარგლებში და რომელსაც მიღებული აქვს წერილობითი მანდატი მწარმოებლისგან იმოქმედოს მისი სახელით კონკრეტულ დავალებებთან დაკავშირებით;
- (14) „იმპორტიორი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია ევროკავშირის ფარგლებში და რომელიც განათავსებს რადიოაპარატურას მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე;

¹⁵ ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2002/21/EC, 7 მარტი 2002, რომელიც შეეხება ზოგად მარეგულირებელ ჩარჩოს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და მომსახურების სფეროში (ჩარჩო დირექტივა) (OJ L 108, 24.4.2002, p. 33).

- (15) „დისტრიბუტორი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს მიწოდების ჯაჭვში, მწარმოებლის ან იმპორტიორის გარდა, რომელიც განათავსებს აპარატურას ბაზარზე;
- (16) „ეკონომიკური ოპერატორი“ ნიშნავს მწარმოებელს, ავტორიზებულ წარმომადგენელს, იმპორტიორს და დისტრიბუტორს; ე.ი. მწარმოებელი+ავტორიზებული წარმომადგენელი+იმპორტიორი+დისტრიბუტორი
- (17) „ტექნიკური სპეციფიკაცია“ ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც აღწერს ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა შესრულოს რადიოაპარატურამ;
- (18) „ჰარმონიზებული სტანდარტი“ ნიშნავს ჰარმონიზებულ სტანდარტს რომელიც განმარტებულია No 1025/2012 რეგულაციის 2 მუხლის 1 პუნქტის (გ) ქვე-პუნქტში;
- (19) „აკრედიტაცია“ ნიშნავს აკრედიტაციას რომელიც განმარტებულია (EC) No 765/2008 რეგულაციის 2 მუხლის 10 პუნქტში;
- (20) „ეროვნული აკრედიტაციის ორგანო“ ნიშნავს ეროვნულ აკრედიტაციის ორგანოს რომელიც განმარტებულია (EC) No 765/2008 რეგულაციის 2 მუხლის 11 პუნქტში;
- (21) „შესაბამისობის შეფასება“ ნიშნავს პროცესს იმის სადემონსტრაციოდ შესრულებულია თუ არა ამ დირექტივის რადიოაპარატურასთან დაკავშირებული არსებითი მოთხოვნები;
- (22) „შესაბამისობის შემფასებელი ორგანო“ ნიშნავს ორგანოს, რომელიც ასრულებს შესაბამისობის შეფასების საქმიანობას;
- (23) „გამოთხოვნა“ ნიშნავს ნებისმიერ ზომას, რომელიც მიზანმიმართული საბოლოო მომხმარებლისათვის; უკვე ხელმისაწვდომი რადიოაპარატურის დაბრუნებაზე;
- (24) „ამოღება“ ნიშნავს ნებისმიერ ზომას, რომელიც მიზანმიმართულია რადიოაპარატურის ბაზრიდან ამოღებაზე;
- (25) „კავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობა“ ნიშნავს ნებისმიერ კავშირის კანონმდებლობას რომელიც ჰარმონიზებას უწყევს პროდუქციის ბაზარზე განაცხების პირობებს;
- (26) „CE მარკირება“ ნიშნავს მარკირებას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი მიუთითებს რომ რადიოაპარატურა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რომლებიც მოცემულია ევროკავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობაში განთავსების თაობაზე;
2. კომისიამ შეიძლება მიიღოს განმახორციელებელი აქტები იმის განსასაზღვრავად აკმაყოფილებს თუ არა ელექტრული და ელექტრონული პროდუქციის ზოგიერთი კატეგორია განმარტებას, რომელიც მოცემულია ამ მუხლის 1 პარაგრაფის 1 პუნქტში. ეს განმახორციელებელი აქტები მიღებული იქნება შემოწმების პროცედურის თანახმად რომელიც მითითებულია 45.3 მუხლში.

მუხლი 3

არსებითი მოთხოვნები

- რადიოაპარატურა იმგვარად უნდა იყოს დამზადებული, რომ უზრუნველყოს:
 - პირების და შინაური ცხოველების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა და ქონების დაცვა, მათ შორის უსაფრთხოების მოთხოვნების მიზნების შესრულება/მიღწევა, რომლებიც მოცემულია 2014/35/EU დირექტივაში, თუმცა ძაბვის ლიმიტების დაწესების გარეშე;
 - ელექტრომაგნიტური თავსებადობის ადეკვატური დონე, რომელიც 2014/30/EU დირექტივაშია მოცემული.
- რადიოაპარატურა იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ეფექტურად გამოიყენებოდეს და ხელს უწყობდეს რადიოსიგნალის ეფექტურად გამოყენებას მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად.
- ზოგიერთ კატეგორიაში ან კლასში რადიოაპარატურა იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ შეესაბამებოდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:
 - რადიოაპარატურა მუშაობს აქსესუარების საშუალებით, კერძოდ, საერთო დამმუხტავი

მოწყობილობებით;

ბ. რადიოაპარატურის ურთიერთქმედება სხვა რადიოაპარატურასთან ხდება ქსელების საშუალებით.

გ. რადიოაპარატურა შეიძლება მიუერთდეს შესაბამისი ტიპის ინტერფეისს მთელი ევროგაერთიანების მასშტაბით;

დ. რადიოაპარატურა არ აზიანებს ქსელს ან მის ფუნქციონირებას და თვითნებურად არ გამოიყენებს ქსელის რესურსებს, რითაც არ იწვევს მომსახურების მიუღებელ დეგრადირებას;

ე. რადიოაპარატურა მოიცავს დამცავ მექანიზმებს რათა უზრუნველყოფილი იქნას მომხმარებლის და აბონენტის პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა;

ვ. რადიოაპარატურას აქვს თაღლითობისგან დაცვის გარკვეული მექანიზმები;

ზ. რადიოაპარატურას აქვს გარკვეული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციების მომსახურების ხელმისაწვდომობას;

თ. რადიოაპარატურას აქვს გარკვეული მექანიზმები, რომელიც ეხმარება უნარშეზღუდულ პირებს ასეთი აპარატურის გამოყენებაში;

ი. რადიოაპარატურა შეიცავს გარკვეულ მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ჩატვირთვას მხოლოდ იმ რადიოაპარატურაში, სადაც რადიოაპარატურის და პროგრამის კომბინაციის შესაბამისობა დადასტურებულია და აშკარაა.

44 მუხლის თანახმად კომისია იქნება უფლებამოსილი, მიიღოს დელეგირებული ნორმები, სადაც მითითებულია რა კატეგორიის ან კლასის რადიოაპარატურა იგულისხმება თითოეული მოთხოვნით, რომელიც ჩამოთვლილია ამ პარაგრაფის პირველი ქვე-პარაგრაფის პუნქტებში ა) თ).

მუხლი 4

რადიოაპარატურისა და პროგრამის კომბინაციების შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა

1. რადიოაპარატურისა და პროგრამების მწარმოებლებმა უნდა მიაწოდონ წევრ ქვეყნებსა და კომისიას ინფორმაცია რადიოაპარატურისა და პროგრამის განსაზღვრული კომბინაციების შესაბამისობის შესახებ იმ არსებით მოთხოვნებთან, რომლებიც მე-3 მუხლშია მოცემული. ამგვარი ინფორმაცია უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისობის შეფასებიდან, რომელიც განხორციელებულია მე-17 მუხლის შესაბამისად და მოცემული იქნება შესაბამისობის იმ განაცხადის ფორმით, რომელიც მოიცავს მე-6 დანართში ჩამოთვლილ ელემენტებს. რადიოაპარატურისა და პროგრამის სპეციფიური კომბინაციებიდან გამომდინარე, ინფორმაციამ ზუსტად უნდა ასახოს შეფასებული და მუდმივად განახლებადი რადიოაპარატურა და პროგრამა

2. კომისია უფლებამოსილი უნდა იყოს, მიიღოს დელეგირებული აქტები 44 მუხლის შესაბამისად სადაც აღწერილია რადიოაპარატურის რომელ კატეგორიებს ან კლასებს ეხება ამ მუხლის 1 პარაგრაფში აღწერილი მოთხოვნები. .

3. კომისიამ უნდა მიიღოს განხორციელების ნორმები რომლებიც განსაზღვრავენ საოპერაციო წესებს, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომას დელეგირების ნორმებში აღწერილ იმ კატეგორიებისა და კლასებისათვის, რომლებიც მიღებულია ამ მუხლის 2 პარაგრაფის შესაბამისად. ეს განმარტებული/განხორციელების ნორმები მიღებული უნდა იყოს 45(3) მუხლში მითითებული შემოწმების პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 5

ზოგ კატეგორიაში რადიოაპარატურის ტიპების რეგისტრაცია

1. 2018 წლის 12 ივნისიდან მწარმოებლებმა უნდა დაარეგისტრონ რადიოაპარატურა მე-3 მუხლის ძირითადი მოთხოვნების დაბალი შესაბამისობის კატეგორიებში ცენტრალური სისტემის ფარგლებში, რაც მოხსენიებულია ამ მუხლის მე-4 პარაგრაფში; რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ამ კატეგორიებში მოთავსებული რადიოაპარატურის ბაზარზე გატანამდე ამგვარი რადიოაპარატურის ტიპების რეგისტრაციისას, მწარმოებლები საჭიროებისამებრ წარმოადგენენ, ტექნიკური დოკუმენტაციის ზოგ ან ყველა ელემენტს, რომელიც V დანართის ა,დ,ე,ვ,ზ,თ და ი პუნქტებშია ჩამოთვლილი. თითოეულ რეგისტრირებულ რადიოაპარატურის ტიპს კომისია მიანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს, რომელსაც მწარმოებლები მიამაგრებენ ბაზარზე თუ განსათავსებელ რადიოაპარატურას.
2. 44-ე მუხლის თანახმად, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს დელეგირებული ნორმები, რომელიც განსაზღვრავს რადიოაპარატურის რომელ კატეგორიას ეხება ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნა და წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაციის ელემენტები; აღნიშნული უნდა განხორციელდეს მუხლი წევრი ქვეყნების მიერ 47.1 ის შესაბამისად რადიოაპარატურის თავსებადობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის და აუცილებელი მოთხოვნების შეუსრულებლობის რისკების შეფასების გათვალისწინებით.
3. კომისიამ უნდა მიიღოს განმარტებულ აქტები - განხორციელების ნორმები, რომლებიც ადგენენ საოპერაციო წესებს რეგისტრაციისათვის ისევე, როგორც საოპერაციო წესებს რადიოაპარატურაზე სარეგისტრაციო ნომრების მისაკრავად იმ კატეგორიებზე, რომლებიც დელეგირებულ ნორმებშია მითითებული და რომლებიც მიღებულია ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად. ეს განხორციელების ნორმები მიღებული უნდა იქნეს 45.3 მუხლში მითითებული შემოწმების პროცედურის შესაბამისად.
4. კომისიამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ცენტრალური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მწარმოებლებს, დაარეგისტრონ მოთხოვნილი ინფორმაცია. აღნიშნულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის შესაბამისი კონტროლი.

5. ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად მიღებული დელეგირებული ნორმების ამოქმედების თარიღის შემდგომ, 47-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად მომზადებული ანგარიშები აფასებს მის ზემოქმედებას.

მუხლი 6

ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ რადიოაპარატურა იყოს ხელმისაწვდომი ბაზარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ამ დირექტივის მოთხოვნებს.

მუხლი 7

ექსპლუატაციაში გაშვება და გამოყენება

.წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დართონ რადიოაპარატურის ექსპლუატაციაში გაშვებისა და გამოყენების ნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს ამ დირექტივის მოთხოვნებს, სათანადოდ დამონტაჟებულია და გამოიყენება დადგენილი მიზნებისათვის No 676/2002/EC გადაწყვეტილებით განსაზღვრული მათი ვალდებულებების და სიხშირეთა ავტორიზაციის შესახებ, კერძოდ, კი ევროკავშირის კანონის იურიდიული ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე, კერძოდ, 2002/21/EC დირექტივის მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების მოთხოვნების საფუძველზე, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დანერგონ რადიოაპარატურის ექსპლუატაციაში გაშვების და/ან გამოყენების დამატებითი მოთხოვნები სპექტრის ეფექტური და ეფექტიანი გამოყენების, მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, ელექტრომაგნიტური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

მუხლი 8

რადიო ინტერფეისის სპეციფიკაციების შეტყობინება და რადიოაპარატურის კლასების მინიჭება

1. 98/34/EC დირექტივაში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად წევრმა ქვეყნებმა, უნდა გააკეთონ განაცხადი იმ რადიონტერფეისების შესახებ, რომელთა დარეგულირებასაც ისინი აპირებენ, გარდა შემდეგისა:
- ა. რადიონტერფეისი, რომელიც სრულად და რაიმე გადახრის გარეშე შეესაბამება No676/2002/EC გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებულ კომისიის გადაწყვეტილებებს რადიო სპექტრის ჰარმონიზებული გამოყენების შესახებ;
 - ბ. რადიონტერფეისი, რომელიც ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის განხორციელების ნორმებიდან გამომდინარე შეესაბამება იმ რადიოაპარატურას, რომელიც შეიძლება შეზღუდვების გარეშე იყოს ექსპლუატაციაში გაშვებული და გამოყენებული ევროგაერთიანების ტერიტორიაზე.
2. კომისიამ უნდა მიიღოს განამხორციელებელი ნორმები, რომლებიც ადგენენ შეტყობინებულ რადიონტერფეისებს შორის ექვივალენტურობას და განსაზღვრავენ რადიოაპარატურის კლასს, რომელთა შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში. ეს განხორციელების ნორმები უნდა იქნეს მიღებული მე-45.3 მუხლში მითითებული შემოწმების პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 9

რადიოაპარატურის თავისუფალი მიმოქცევა

1. ამ დირექტივით განსაზღვრულ ასპექტებთან დაკავშირებული მიზეზებით წევრმა ქვეყნებმა, არ უნდა შეაფერხონ ამ დირექტივის მოთხოვნების შესაბამისი რადიოაპარატურის თავისი ტერიტორიის ბაზრებზე განთავსება.
2. წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა შეუშალონ ხელი სავაჭრო ობიექტებზე, გამოფენებზე და მსგავს სხვა ღონისძიებებზე იმ რადიოაპარატურის დემონსტრირებას/გამოფენას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დირექტივის მოთხოვნებს იმ პირობით, რომ ხილვადი ნიშანი ნათლად მიუთითებს რომ ამგვარი რადიოაპარატურა არ იქნება განთავსებული ბაზარზე ან ექსპლუატაციაში გაშვებული, ამ დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანამდე. რადიოაპარატურის დემონსტრირება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული ადეკვატური ზომები გატარებულია მავნე ხელშეშლის და ელექტრომაგნიტური ზემოქმედების აღსაკვეთად და ადამიანების, შინაური ცხოველების ან ქონების მიმართ რისკის თავიდან ასაცილებლად.

თავი II

ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებები

მუხლი 10

მწარმოებლების ვალდებულებები

1. თავისი რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებისას, მწარმოებლის მიერ გარანტირებული უნდა იყოს, რომ იგი დამზადებულია მე-3 მუხლში მითითებული ძირითადი მოთხოვნების დაცვით.

2. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ რადიოაპარატურის იმგვარად დამზადება, რომ იგი ფუნქციონირებდეს სულ მცირე ერთ წევრ სახელმწიფოში მაინც, რადიოსპექტრის გამოყენების მოთხოვნების დარღვევის გარეშე.

3. მწარმოებლებმა უნდა მოამზადონ 21-ე მუხლში მითითებული ტექნიკური დოკუმენტაცია¹ და განახორციელონ მე-17 მუხლში მითითებული შესაბამისობის შეფასების პროცედურა, ან უზრუნველყონ მისი განხორციელება.

თუ რადიოაპარატურის სათანადო მოთხოვნებთან შესაბამისობა დადასტურებულია აღნიშნული შესაბამისობის შეფასების პროცედურით, მწარმოებლებმა უნდა მოამზადონ ევროგაერთიანების შესაბამისობის დეკლარაცია და მიანიჭონ CE ნიშანი.

4. რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსების შემდგომ, მწარმოებლებმა უნდა შეინახონ ტექნიკური დოკუმენტაცია და ევროგაერთიანების/ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია 10 წლის განმავლობაში.

5. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ, პროცედურების სერიული პროდუქციისთვის შესაბამისობა ამ დირექტივასთან. ცვლილება რადიოაპარატურის დიზაინში ან მახასიათებლებში და ცვლილება ჰარმონიზებულ სტანდარტებსა ან სხვა ტექნიკურ სპეციფიკაციებში უნდა იყოს სათანადოდ გათვალისწინებული.

საჭირო შემთხვევაში, რადიოაპარატურით წარმოშობილ რისკებთან მიმართებაში, ბოლო

მომხმარებლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად, მწარმოებლებმა, უნდა განახორციელონ ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურის ნიმუშების ტესტირება, გამოიკვლიონ და, თუ საჭიროა, აწარმოონ საჩივრების რეესტრი/ჟურნალი, და აწარმოონ შეუსაბამო რადიოაპარატურისა და რადიოაპარატურის უკან გამოთხოვის აღრიცხვა. მათ უნდა აცნობონ დისტრიბუტორებს ნებისმიერი ამგვარი მონიტორინგის შესახებ.

6. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ ბაზარზე ანსათავსებელი რადიოაპარატურის ტიპის, სერიული ნომრის ან სხვა საიდენტიფიკაციო ნიშნების მითითება; ან - როდესაც რადიოაპარატურის ზომა ან მახასიათებლები არ იძლევა ამის საშუალებას - საჭირო ინფორმაცია უნდა იყოს დატანილი შეფუთვაზე, ან აღნიშნული დოკუმენტში, რომელიც თან ახლავს რადიოაპარატურას.

7. მწარმოებლებმა უნდა მიუთითონ რადიოაპარატურაზე თავისი სახელი, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და საფოსტო მისამართი; და თუ აპარატურის ზომა და მოცულობა არ იძლევა ამის საშუალებას, საჭირო ინფორმაცია უნდა მიეთითოს შეფუთვაზე, ან თანმხლებ დოკუმენტაციაში. მისამართი უნდა მიუთითებდეს ერთ რაიმე კონტაქტს, რომლითაც შესაძლებელია მწარმოებელთან დაკავშირება. საკონტაქტო ინფორმაციის დეტალები მითითებული უნდა იყოს ბოლო მომხმარებლისა და ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებისათვის გასაგებ ენაზე.

8. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ ინსტრუქციები და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია კლიენტისა და სხვა ბოლო მომხმარებლისათვის გასაგებ ენაზე, წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

9. ინსტრუქციები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა რადიოაპარატურის შესაბამისი მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ამგვარი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს აქსესუარებისა და კომპონენტების, მათ შორის, პროგრამის აღწერილობას; ეს კი საჭიროა რადიოაპარატურის სათანადო ექსპლუატაციისთვის. ამგვარი ინსტრუქციები და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, ისევე როგორც იარაღი, უნდა იყოს გასაგები და მარტივად კითხვადი.

რადიოტალღების გამსხვივებელი აპარატურის შემთხვევაში, თანდართული უნდა იყოს, ასევე, შემდეგი ინფორმაცია:

- ა. იმ სიხშირეების დიაპაზონი, რომელშიც ფუნქციონირებს რადიოაპარატურა;
- ბ. მაქსიმალური სიმძლავრე, გადაცემული სიხშირეების იმ დიაპაზონში, რომელშიც რადიოაპარატურა ფუნქციონირებს.

9. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რადიოაპარატურის თითოეულ ერთეულს თან ერთვოდეს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ასლი, ასევე, თან უნდა ერთვოდეს ის ინტერნეტ მისამართი სადაც გამოქვეყნებულია ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის სრული ტექსტი.

10. ექსპლუატაციის შეზღუდვის ან გამოყენებაზე ნებართვის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, შეფუთვაზე არსებული ინფორმაციით შესაძლებელი უნდა იყოს წევრი

სახელმწიფოების ან წევრ სახელმწიფოში იმ გეოგრაფიული ზონის იდენტიფიცირება, რომელშიც არსებობს ექსპლუატაციაზე შეზღუდვები ან გამოყენებაზე ნებართვის მოთხოვნები. ამგვარი ინფორმაცია თანდართული უნდა იყოს რადიოაპარატურის ინსტრუქციებზე. კომისიას შეუძლია, მიიღოს განმარტებული/განხორციელების ნორმები, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის წარდგენის წესებს. აღნიშნული განხორციელების ნორმები მიღებული უნდა იყოს 45-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღწერილი სარეკომენდაციო პროცედურის შესაბამისად.

11. თუ მწარმოებელი მიიჩნევს, ან აქვს მიზეზი, მიიჩნიოს, რომ მის მიერ ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურა არ არის ამ დირექტივასთან შესაბამისობაში, დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს შესაბამისი ზომები რადიოაპარატურის შესაბამისობაში მოსაყვანად ან მის უკან გამოსათხოვად. თუ რადიოაპარატურა შეიცავს რაიმე რისკს, მწარმოებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წევრი ქვეყნების კომპეტენტურ ადგილობრივ ორგანოებს აღნიშნული შეუსაბამობის, მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ.

12. კომპეტენტური ეროვნული ორგანოს საფუძვლიანი მოთხოვნის შესაბამისად, მწარმოებელმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია და წერილობითი ან ელექტრონული დოკუმენტაცია ამ ორგანოსათვის ადვილად გასაგებ ენაზე; აღნიშნული საჭიროა რადიოაპარატურის ამ დირექტივასთან შესაბამისობის დასადასტურებლად. საელმწიფოს მოთხოვნით, მათ უნდა ითანამშრომლონ ხელისუფლებასთან ბაზარზე განთავსებულ აპარატურასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად.

მუხლი 11

უფლებამოსილი წარმომადგენლები

1. წერილობითი მინდობილობის საფუძველზე მწარმოებელმა შეიძლება, დანიშნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი. მე-10 მუხლის 1-ელ პუნქტში აღწერილი ვალდებულებები და ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის ვალდებულება (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი) არ წარმოადგენს უფლებამოსილი წარმომადგენლის მანდატის ნაწილს.
2. უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა იმოქმედოს მწარმოებლისგან მიღებულ მანდატის/დავალებაში შესაბამისად. მანდატი უფლებამოსილ წარმომადგენელს უნდა აძლევდეს სულ მცირე შემდეგი ქმედებების განხორციელების საშუალებას:
 - ა. ბაზრის რეგულირების/ზედამხედველობის მიზნებისათვის, შეინახოს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია და ტექნიკური დოკუმენტაცია რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.;
 - ბ. მიაწოდოს მას რადიოაპარატურის შესაბამისობის დემონსტრირებისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია, კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოს საფუძვლიანი მოთხოვნის შესაბამისად.;
 - გ. კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით, ითანამშრომლოს მასთან ნებისმიერ

საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც გატარებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის მანდატით გათვალისწინებული რადიოაპარატურით გამოწვეული რისკის აღმოსაფხვრელად. .

მუხლი 12

იმპორტიორების ვალდებულებები

1. იმპორტიორებმა ბაზარზე უნდა განათავსონ მხოლოდ შესაბამისი რადიოაპარატურა.
2. რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებამდე, ბაზრის იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ მე-17 მუხლში დაფიქსირებული შესაბამისობის შეფასების პროცედურის განხორციელება მწარმოებლის მიერ და რადიოაპარატურის იმგვარად დამზადება, რომ მისი ექსპლუატაცია შესაძლებელი იყოს სულ მცირე ერთ წევრ სახელმწიფოში, სპექტრის გამოყენების შესაბამისი მოთხოვნების დარღვევის გარეშე. მათ უნდა უზრუნველყონ მწარმოებლის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა, რადიოაპარატურაზე CEნიშანდება და მე-10 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებში განსაზღვრული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის თანდართვა; ასევე, უნდა დაადასტურონ, რომ მწარმოებელმა დააკმაყოფილა მე-10 მუხლის მე-6 და მე-7 მუხლების მოთხოვნები.

იმპორტიორებმა, რომლებიც მიიჩნევენ, ან აქვთ მიზეზი, მიიჩნიონ, რომ რადიოაპარატურა არ შეესაბამება მე-3 მუხლის მოთხოვნებს, არ უნდა განათავსონ რადიოაპარატურა ბაზარზე მანამ, ვიდრე არ მოიყვანენ მას შესაბამისობაში. თუ რადიოაპარატურა შეიცავს რისკს, იმპორტიორმა უნდა აცნობოს მწარმოებელს და ბაზრის მაკონტროლებელ/მარეგულირებელ ორგანოებს აღნიშნული შეუსაბამობის შესახებ.

3. რადიოაპარატურაზე იმპორტიორებმა უნდა მიუთითონ თავისი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საფოსტო მისამართი; თუ ეს შეუძლებელია, აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს შეფუთვაზე, ან თანმხლებ დოკუმენტაციაში. აღნიშნული, ასევე, მოიცავს შემთხვევებს, როდესაც რადიოაპარატურა არ იძლევა ამის შესაძლებლობას ან როდესაც იმპორტიორებს უწევთ შეფუთვის გახსნა იმისათვის, რომ მიუთითონ თავისი მისამართი და სახელი რადიოაპარატურაზე. საკონტაქტო დეტალები უნდა იყოს ბოლო მომხმარებლებისა და ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებისათვის ადვილად გასაგებ ენაზე.
4. იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მომხმარებლებისა/კლიენტებისა და ბოლო მომხმარებლებისათვის რადიოაპარატურას თან ერთვოდეს ინსტრუქციები და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციამათთვის ადვილად გასაგებ ენაზე, როგორც ამას განსაზღვრავს წევრი სახელმწიფო.
5. ვინაიდან იმპორტიორები აგებენ პასუხს რადიოაპარატურაზე, მათ უნდა უზრუნველყონ, მისი შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები, რათა არ მოხდეს მე-3

მუხლში აღწერილ ძირითად მოთხოვნების დარღვევა..

6. საჭიროებისამებრ, , რადიოაპარატურის რისკების გამოვლენის შემთხვევაში , ბოლო მომხმარებლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, იმპორტიორებმა უნდა განახორციელონ ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურის ნიმუშების ტესტირება, გამოიკვლიონ და თუ საჭიროა, აწარმოონ შეუსაბამო რადიოაპარატურისა და რადიოაპარატურის ამოღებასთან დაკავშირებული საჩივრების რეესტრი/ჟურნალი; მათ უნდა აცნობონ დისტრიბუტორებს ამგვარი მონიტორინგის შესახებ.
7. თუ იმპორტიორები მიიჩნევენ, ან მიზეზი აქვთ, მიიჩნიონ, რომ რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურა არ არის ამ დირექტივასთან შესაბამისი, მათ დაუყოვნებლივ უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები რადიოაპარატურის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ან დაიწყონ აპარატურის გამოთხოვის პროცედურა. თუ რადიოაპარატურა რისკის შემცველია, იმპორტიორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წევრი ქვეყნების კომპეტენტურ ადგილობრივ ორგანოებს აღნიშნული შეუსაბამობის, მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ.
8. რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში იმპორტიორებმა უნდა შეინახონ ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ბაზრის ზედამხედველი ორგანოების საჭიროებისათვის და მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყონ მოცემული ტექნიკური დოკუმენტაციის ასეთი ორგანოებისათვის ხელისაწვდომობა.
9. კომპეტენტური ეროვნული ორგანოს დასაბუთებული მოთხოვნის შესაბამისად, იმპორტიორებმა, ეროვნული ორგანოსათვის გასაგებ ენაზე უნდა წარმოადგინონ სრული ინფორმაცია, წერილობითი თუ ელექტრონული დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა რადიოაპარატურის ამ დირექტივასთან შესაბამისობის დასადასტურებლად. მათ მიერ ბაზარზე განთავსებული აპარატურით გამოწვეული რისკების შესამცირებლად მათ უნდა ითანამშრომლონ შესაბამისი ქვეყნის ხელისუფლებასთან,.

მუხლი 13

დისტრიბუტორების ვალდებულებები

1. რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებისას, დისტრიბუტორებმა ზედმიწევნით უნდა გაითვალისწინონ ამ დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნები.
2. რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებამდე, დისტრიბუტორებმა უნდა შეამოწმონ/დაადასტურონ, რომ რადიოაპარატურას აქვს CE ნიშანდება, თან ახლავს ამ დირექტივითა და ინსტრუქციით მოთხოვნილი დოკუმენტაცია და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია იმ ენაზე, რომელიც ადვილად გასაგებია მომხმარებლებისა და ბოლო მომხმარებლებისათვის იმ წევრ სახელმწიფოებში, რომელთა ბაზარზეც განთავსებულია აღნიშნული რადიოაპარატურა; ასევე, ისინი, უნდა დარწმუნდნენ, რომ მწარმოებლებმა და იმპორტიორებმა შეასრულეს მე-10 მუხლის მე-2, მე-6 და მე-10 პუნქტებსა და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში დადგენილი მოთხოვნები.

თუ დისტრიბუტორები მიიჩნევენ, ან აქვთ მიზეზი, მიიჩნიონ, რომ რადიოაპარატურა არ

შეესაბამება მე-3 მუხლის მოთხოვნებს, შესაბამისობის აღდგენამდე მათ არ უნდა განათავსონ რადიოაპარატურა ბაზარზე. თუ რადიოაპარატურა შეიცავს რისკს, დისტრიბუტორმა უნდა აცნობოს მწარმოებელსა და ბაზრის მაკონტროლებელ/მარეგულირებელ ორგანოებს აღნიშნული შეუსაბამობის შესახებ.

3. რადიოაპარატურის დისტრიბუტორების მიერ ფლობის პერიოდში, მისი შენახვისა და ტრანსპორტირების პირობებმა არ უნდა შექმნას მე-3 მუხლის არსებითი მოთხოვნების დარღვევა..

4. დისტრიბუტორებმა, რომლებიც მიიჩნევენ, ან აქვთ მიზეზი, მიიჩნიონ, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურა არ არის ამ დირექტივასთან შესაბამისობაში, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ მაკორექტირებელ/შესაბამის ზომებს რადიოაპარატურის შესაბამისობაში მოსაყვანად ან მის უკან გამოსათხოვად. თუ რადიოაპარატურა შეიცავს რისკს, დისტრიბუტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წევრი ქვეყნების კომპეტენტურ ადგილობრივ ორგანოებს აღნიშნული შეუსაბამობის, მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ.

5. კომპეტენტური ეროვნული ორგანოს საფუძვლიანი მოთხოვნის შესაბამისად, დისტრიბუტორებმა უნდა წარმოადგინონ სრული ინფორმაცია და წერილობითი ან ელექტრონული დოკუმენტაცია, რაც საჭიროა რადიოაპარატურის შესაბამისობის დასადასტურებლად. მათ უნდა ითანამშრომლონ ქვეყნის ხელისუფლებასთან იმ რისკების შესამცირებლად, რომლებიც გამოწვეულია მათ მიერ ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურით.

მუხლი 14

შემთხვევები, როდესაც მწარმოებელთა ვალდებულებები ვრცელდება იმპორტიორებსა და დისტრიბუტორებზე

იმპორტიორი ან დისტრიბუტორი შეიძლება, ჩაითვალოს მწარმოებლად ამ დირექტივის მიზნებისათვის და მასზე უნდა გავრცელდეს მწარმოებლის ვალდებულებები მე-10 მუხლის შესაბამისად იმ შემთხვევაში, როდესაც ის განათავსებს რადიოაპარატურას ბაზარზე საკუთარი სახელით ან სავაჭრო ნიშნით ან შეცვლის ბაზარზე უკვე განთავსებულ რადიოაპარატურას იმგვარად, რომ არ დაირღვეს ამ დირექტივასთან შესაბამისობა.

მუხლი 15

ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიცირება

ბაზრის ზედამხედველის/მარეგულირებლის მოთხოვნის საფუძველზე, ეკონომიკურმა ოპერატორებმა უნდა განახორციელონ შემდეგი ერთეულების იდენტიფიცირება:

- ა. ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომლებმაც მოაწოდეს რადიოაპარატურა;
- ბ. ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომელთაც მიაწოდეს რადიოაპარატურა.

ეკონომიკურ ოპერატორს უნდა შეეძლოს, წარმოადგინოს პირველ პარაგრაფში მოთხოვნილი ინფორმაცია რადიოაპარატურის მიღების დღიდან 10 წლის განმავლობაში და რადიოაპარატურის მიწოდების დღიდან 10 წლის განმავლობაში.

თავი III

რადიოაპარატურის შესაბამისობა

მუხლი 16

რადიოაპარატურის შესაბამისობის პრეზუმპცია

მიიჩნევა რომ რადიოაპარატურა, რომელიც შესაბამისობაშია ჰარმონიზებულ სტანდარტებთან ან მათ ნაწილთან და რომელიც გამოქვეყნებულია ევროგაერთიანების/ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში, შესაბამისობაშია მე-3 მუხლის იმ არსებით მოთხოვნებთან, რომლებზეც ვრცელდება ეს სტანდარტები ან მათი ნაწილი.

მუხლი 17

შესაბამისობის შეფასების პროცედურები

1. მწარმოებელმა უნდა განახორციელოს რადიოაპარატურის შესაბამისობის შეფასება მე-3 მუხლის არსებითი მოთხოვნების შესასრულებლად. შესაბამისობის შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს ყველა საოპერაციო პირობა და მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტში გაწერილი მოთხოვნების მიზნებისათვის, შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გონივრულად გასათვალისწინებელი პირობები. თუ შესაძლებელია რადიოაპარატურის სხვადასხვაგვარად კონფიგურაცია, შესაბამისობის შეფასებამ უნდა დაადასტუროს, რომ რადიოაპარატურა აკმაყოფილებს მე-3 მუხლში მოცემულ ძირითად მოთხოვნებს ყველა შესაძლო კონფიგურაციაში.
2. მწარმოებელმა უნდა დაადასტუროს რადიოაპარატურის შესაბამისობა მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ძირითად მოთხოვნებთან, რომელიც შეეხება მომდევნო შესაბამისობის შეფასების პროცედურების გამოყენებას:
 - ა. მე-2 დანართშია მოცემული შიდა პროდუქციის კონტროლი ;
 - ბ. EU -ტიპის შემოწმება, რომელსაც მოჰყვება შესაბამისობის შეფასება ტიპის მიხედვით, შიდა პროდუქციის კონტროლის საფუძველზე, რაც მე-3 დანართშია მოცემული;
 - გ. შესაბამისობა სრული ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე, რაც მე-4 დანართშია

მოცემული.

3. თუ რადიოაპარატურის 3.2. და 3.3 მუხლებში მოცემულ ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისას მწარმოებელმა გამოიყენა ევროგაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებული ჰარმონიზებული სტანდარტები, მან უნდა გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე პროცედურა:

- ა. შიდა პროდუქციის კონტროლი, რომელიც მე-2 დანართშია მოცემული;
- ბ. შესაბამისობა სრული ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე, რაც მე-4 დანართშია მოცემული.

4. თუ რადიოაპარატურის 3.2. და 3.3 მუხლებში მოცემულ ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისას მწარმოებელმა გამოიყენა ან არ გამოიყენა, ან გამოიყენა მხოლოდ ევროგაერთიანების/ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებული ჰარმონიზებული სტანდარტების ნაწილი, ან თუ ამგვარი ჰარმონიზებული სტანდარტები არ არსებობს, რადიოაპარატურა უნდა დაექვემდებაროს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე პროცედურას:

- ა. EU -ტიპის შემოწმება, რომელსაც მოჰყვება შესაბამისობის შეფასება ტიპის მიხედვით, შიდა პროდუქციის კონტროლის საფუძველზე, რაც მე-3 დანართშია მოცემული;
- ბ. შესაბამისობა სრული ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე, რაც მე-4 დანართშია მოცემული.

მუხლი 18

ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია

1. EU შესაბამისობის დეკლარაციამ უნდა დაადასტუროს, რომ მე-3 მუხლში მოცემული ძირითადი მოთხოვნები შესრულებულია.
2. EU შესაბამისობის დეკლარაციას უნდა იყოს შედგენილი მე-4 დანართში მოცემული სტრუქტურის მიხედვით, უნდა შეიცავდეს ამ დანართში მოცემულ ელემენტებს და უნდა იყოს მუდმივად განახლებადი. ის უნდა ითარგმნოს რადიოაპარატურის განთავსების წვერი-სახელმწიფოს ენაზე ან ენებზე.

ევროკავშირის გამარტივებული შესაბამისობის დეკლარაცია, რომელიც მე-10.9 მუხლშია მითითებული, უნდა შეიცავდეს დანართ 7-ში მოცემულ ელემენტებს,; იგი მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. ის უნდა ითარგმნოს იმ წვერი-სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილ ენაზე ან ენებზე სადაც განთავსებულია რადიოაპარატურა.

ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის სრული ტექსტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტ მისამართზე, რომელიც მითითებულია ევროკავშირის შესაბამისობის გამარტივებულ დეკლარაციაში, იმ წვერი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილ ენაზე ან ენებზე, სადაც განთავსებულია რადიოაპარატურა.

3. თუ რადიოაპარატურაზე ვრცელდება ევროგაერთიანების ერთზე მეტი აქტი/ნორმა, რომელიც მოითხოვს ევროკავშირისშესაბამისობის დეკლარაციას, ერთი ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია უნდა იყოს მომზადებული ევროგაერთიანების ყველა ამგვარ აქტთან/ნორმასთან მიმართებაში. დეკლარაცია უნდა მოიცავდეს ევროგაერთიანების შესაბამისი აქტების/ნორმების იდენტიფიკაციას მათი გამოქვეყნების შესახებ ინფორმაციის მითითებით.

4. ევროკავშირისშესაბამისობის დეკლარაციის მომზადებით, მწარმოებელმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს რადიოაპარატურის შესაბამისობა ამ დირექტივის მოთხოვნებთან.

მუხლი 19

CE ნიშანდება - ზოგადი პრინციპები

CE ნიშანდება უნდა აკმაყოფილებდეს (EC) N765/2008 რეგულაციის 30-ე მუხლში განსაზღვრულ ზოგად პრინციპებს.

რადიოაპარატურის სახეობებიდან გამომდინარე, CE ნიშანდების სიმაღლე რადიოაპარატურაზე შეიძლება იყოს 5 მმ-ზე დაბლა, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ხილული და წაწაკითხვადი იქნება.

მუხლი 20

CE ნიშანდების წესები და პირობები და შემფასებელი ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი

1. CE ნიშანდება უნდა იყოს ხილული, მარტივად წაწაკითხვადი და განთავსდეს რადიოაპარატურაზე ან მისი მონაცემების პანელზე; თუ აღნიშნული არ არის შეუძლებელი ან არ არის გარანტირებული რადიოაპარატურის სპეციფიკიდან გამომდინარე. CE ნიშანდება, ასევე უნდა იყოს ხილული და წაკითხვადი შეფუთვაზე.

2. CE ნიშანი დატანილი უნდა იყოს რადიოაპარატურის ბაზარზე გატანამდე.

3. CE ნიშანდებას უნდა მოჰყვეს შემფასებელი ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი; ამ შემთხვევაში გავრცელდება მე-4 დანართში მოცემული შესაბამისობის შეფასების პროცედურა.

შემფასებელი ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერს უნდა ჰქონდეს იგივე სიმაღლე, რაც CE ნიშანდებას.

შემფასებელი ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი უნდა განთავსდეს შემფასებელი

ორგანოს მიერ თავად, ან მისი ინსტრუქციების შესაბამისად, მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

4. წევრი სახელმწიფოები უნდა დაეყრდნონ არსებულ მექანიზმებს CE ნიშანდების მარეგულირებელი რეჟიმის სწორი ამოქმედების უზრუნველსაყოფად და განახორციელონ სათანადო ზომები ამ ნიშანდების არადანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში.

მუხლი 21

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ყველა შესაბამის მონაცემს ან დეტალს მწარმოებლის მიერ გამოყენებული საშუალებების შესახებ იმის უზრუნველსაყოფად, რომ რადიოაპარატურა შეესაბამება მე-3 მუხლში გაწერილ ძირითად მოთხოვნებს. ის, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს მე-5 დართში აღწერილ ელემენტებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებამდე და უნდა იყოს მუდმივად განახლებადი.

3. ტექნიკური დოკუმენტაცია და კორესპონდენცია, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ EU -ტიპის შემოწმების პროცედურასთან, უნდა მომზადდეს წევრი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რომელშიც ფუნქციონირებს შემფასებელი ორგანო ან იმ ენაზე, რომელიც ამ ორგანოსათვის არის მისაღები.

4. თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ მუხლის 1,2, და მე-3 პუნქტებს, და ამრიგად, არ არის წარმოდგენილი საკმარისი შესაბამისი მონაცემი ან საშუალებები, რომელიც გამოყენებულია რადიოაპარატურის მე-3 მუხლში დადგენილი ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბაზრის საზედამხედველო/მარეგულირებელმა ორგანომ შეიძლება მოსთხოვოს მწარმოებელს ან იმპორტიორს ტესტის ჩატარება იმ ორგანოს მიერ, რომელიც მისაღებია ამ ბაზრის ზედამხედველი ორგანოსათვის, მწარმოებლის ან იმპორტიორის ხარჯით, დადგენილ ვადებში, მე-3 მუხლში გაწერილი ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

თავი IV

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების შეტყობინება

მუხლი 22

შეტყობინება

წევრი სახელმწიფოები ატყობინებენ კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს იმ ორგანოების

შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ მესამე მხარის შესაბამისობის შეფასების ამოცანები ამ დირექტივის საფუძველზე.

მუხლი 23

შემტყობინებელი ორგანოები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ შემტყობინებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჭირო პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაზე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების შესაფასებლად და შესატყობინებლად და შემფასებელი პირების მონიტორინგის ჩასატარებლად, 28-ე მუხლთან შესაბამისობის ჩათვლით.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადაწყვიტონ, რომ შეფასება და მონიტორინგი, რომლებიც განსაზღვრულია 1-ელ პარაგრაფში, უნდა განხორციელდეს ეროვნული აკრედიტაციის ორგანოს მიერ, EC N 765/2008 რეგულაციის შესაბამისად.
3. თუ შემტყობინებელი ორგანო ახდენს 1 პარაგრაფში მითითებული შეფასების, შეტყობინების ან მონიტორინგის დელეგირებას ან სხვაგვარად გადასცემს უფლებამოსილებას იმ ორგანოს, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოს, ამგვარი ორგანო უნდა იყოს იურიდიული პირი და უნდა შეესაბამებოდეს 24-ე მუხლის მოთხოვნებს, რომელშიც შესაძლებელია საჭირო ცვლილებების შეტანა. აღნიშნულის გარდა, მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი მექანიზმი მისი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესასრულებლად.
4. შემტყობინებელმა ორგანომ უნდა აიღოს სრული პასუხისმგებლობა იმ ამოცანებზე, რომლებსაც შეასრულებს 3 პარაგრაფში მითითებული ორგანო.

მუხლი 24

შემტყობინებელ ორგანოებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. შემტყობინებელი ორგანო იმგვარად უნდა იყოს შექმნილი, რომ შესაბამისობის შეფასების შემფასებელ ორგანოებთან არ წამოიჭრას ინტერესთა კონფლიქტი.
2. შემტყობინებელი ორგანო იმგვარად უნდა იყოს შექმნილი და ამოქმედებული, რომ დაიცვას თავისი საქმიანობის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.
3. შემტყობინებელი ორგანო იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს შეტყობინებასთან, მიღებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოების მიერ და განსხვავებული იყოს შემფასებელი ორგანოებისაგან.

4. შემტყობინებელმა ორგანომ არ უნდა შესთავაზოს ან გასწიოს რაიმე საქმიანობა, რომელსაც ასრულებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ან არ უნდა აწარმოოს საკონსულტაციო მომსახურება კომერციულ ან კონკურენტულ საფუძველზე.

5. შემტყობინებელმა ორგანომ უნდა დაიცვას მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა..

6. თავისი ამოცანების ჯეროვნად შესასრულებლად შემტყობინებელ ორგანოს საკუთარ განკარგულებაში უნდა ჰყავდეს საკმარისი რაოდენობის კომპეტენტური პერსონალი .

მუხლი 25

შემტყობინებელი ორგანოების ინფორმირების ვალდებულება

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების შეტყობინებისა და შეფასების თაობაზე თავისი პროცედურების და ამ პროცედურებში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

ეს ინფორმაცია კომისიამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს საზოგადოებისათვის.

მუხლი 26

შემფასებელ ორგანოებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. შეტყობინების მიზნებისათვის, შესაბამისობის შემფასებელი ორგანო უნდა ასრულებს 2-11 პარაგრაფებში ჩამოთვლილ მოთხოვნებს. .

2. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო შეიქმნება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე და ექნება იურიდიული პირის სტატუსი.

3. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო წარმოადგენს მესამე მხარეს, რომელიც დამოუკიდებელი იქნება იმ ორგანიზაციისაგან ან რადიოაპარატურისაგან, რომლის შეფასებასაც ის განახორციელებს.

ორგანო, რომელიც განეკუთვნება ბიზნეს ასოციაციას ან პროფესიულ ფედერაციას, რომელიც წარმოადგენს დიზაინის შემქმნელს, მწარმოებელს, მიმწოდებელს, აწყობის, გამოყენების ან რადიოაპარატურის მოვლა-შენახვის განმახორციელებელ ორგანიზაციას, შეიძლება ჩაითვალოს შემფასებელ ორგანოდ დამოუკიდებლობისა და ინტერესტთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში.

4. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო, მისი უმაღლესი მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასების ამოცანებზე პასუხისმგებელი პერსონალი არ უნდა იყოს მის მიერ შესაფასებელი რადიოაპარატურის დამპროექტებელი, მწარმოებელი, მიმწოდებელი, დამმონტაჟებელი,

შემსყიდველი, მფლობელი ან მოსარგებლე და არ უნდა იყოს ამ მხარეთა წარმომადგენელი. აღნიშნული არ ზღუდავს შეფასებული რადიოაპარატურის გამოყენებას, რომელიც საჭიროა შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ოპერაციებისთვის ან ამგვარი რადიოაპარატურის გამოყენებას პირადი მიზნებისათვის.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანო, მისი უმაღლესი მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასების ამოცანებზე პასუხისმგებელი პერსონალი არ უნდა იყონ პირდაპირ ჩართული რადიოაპარატურის დაპროექტებაში, წარმოებაში ან კონსტრუირებაში, მარკეტინგში, მონტაჟში, გამოყენებაში ან მოვლა-შენახვაში ან არ უნდა წარმოადგენდენ ამ საქმიანობაში მონაწილე მხარეებს. ისინი არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მათი შეფასების დამოუკიდებლობას ან კეთილსინდისიერებას იმ შესაბამისობის შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც მათ მიიღეს შეტყობინება. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საკონსულტაციო მომსახურებას.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ფილიალების ან ქვეკონტრაქტორების საქმიანობამ არ იქონიოს ზეგავლენა შეფასებული საქმიანობის კონფიდენციალურობაზე, ობიექტურობაზე ან მიუკერძოებლობაზე.

5. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები და მათი პერსონალი განახორციელებენ შესაბამისობის შეფასების საქმიანობს კონკრეტულ სფეროში პროფესიონალური კეთილსინდისიერების უმაღლესი ხარისხით და საჭირო ტექნიკური კომპეტენციით და არ უნდა დაექვემდებარონ ნებისმიერი სახის ზეწოლასა თუ იძულებას, ფინანსური ზეგავლენის ჩათვლით, ვინაიდან ყოველივემ შესაძლებელია, ზეგავლენა იქონიოს მათ შეფასებაზე ან მათი შესაბამისობის შეფასების საქმიანობის შედეგებზე; ეს განსაკუთრებით ეხება პირებს ან პირთა ჯგუფებს, რომელთაც აქვთ ინტერესი ამ საქმიანობის შედეგების მიმართ.

6. მე-3 და მე-4 დანართის ფარგლებში, შესაბამისობის შემფასებელი ორგანო უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა მასზე დაკისრებული შესაბამისობის შეფასების ის ამოცანა, რომელთა დაკავშირებითაც მას მიეწოდა შეტყობინება, მიუხედავად იმისა ამგვარი ამოცანები ხორციელდება პირადად შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ თუ მისი სახელით და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ.

ნებისმიერ დროს, თითოეული შესაბამისობის შეფასების იმ პროცედურისა და რადიოაპარატურის თითოეული კატეგორიისათვის, რომელზეც მათ მიიღეს შეტყობინება, შესაბამისობის შემფასებელი ორგანო საკუთარ განკარგულებაში იქონიებს საჭირო:

ა. ტექნიკური ცოდნის მქონე პერსონალს და საკმარისი და ჯეროვანი გამოცდილებით, რაც საჭიროა შესაბამისობის შეფასების ამოცანების შესასრულებლად;

ბ. პროცედურების აღწერილობებს, რომელთა თანახმადაც ხორციელდება შესაბამისობის შეფასება, გამჭვირვალობის და ამ პროცედურების განვრცობის შესაძლებლობის უზრუნველყოფით. მას უნდა ჰქონდეს დანერგილი შესაბამისი სტრატეგია და პროცედურები, რომელიც განასხვავებს მის როგორც შემფასებელი ორგანოს მიერ

განხორციელებულ ამოცანებს და სხვა საქმიანობას;

გ. პროცედურებს საქმიანობის შესრულებისთვის, რომლებიც გაითვალისწინებენ დავალების ზომას, ისევე როგორც იმ სფეროს, რომელშიც ის ფუნქციონირებს, მის სტრუქტურას, რადიოაპარატურის ტექნოლოგიის სირთულის ხარისხს და წარმოების პროცესის მასიურ ან სერიულ ხასიათს.

შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს ტექნიკური და ადმინისტრაციული დავალებების შესასრულებლად საჭირო საშუალებები რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისობის შეფასების საქმიანობის ჯეროვნად შესრულებას.

7. შესაბამისობის შეფასების ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელ პერსონალს უნდა ჰქონდეს:

ა. გავლილი სრულყოფილი ტექნიკური და პროფესიონალური ტრენინგი, რომელიც მოიცავს შესაბამისობის შეფასების ყველა საქმიანობას, რომელზეც შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს მიეცა შეტყობინება;

ბ. შეფასებების მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ცოდნა; ასეთი მოთხოვნები საჭიროა საქმიანობის განხორციელებისა და ადეკვატური უფლებამოსილების ამ შესასრულებლად;

გ. შესწავლილი და გააზრებული მე-3 მუხლში დაფიქსირებული ძირითადი მოთხოვნების, ჰარმონიზებული სტანდარტების გამოყენების ისევე როგორც ევროკავშირის და ადგილობრივი ჰარმონიზაციის შესახებ კანონმდებლობა;

დ. EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატების ან ხარისხის სისტემის დადასტურების, ჩანაწერების და იმ ანგარიშების მომზადების უნარი, რომლებიც უჩვენებენ განხორციელებულ შეფასებებს.

8. . გარანტირებული უნდა იყოს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების უმაღლესი მენეჯმენტის და შესაბამისობის შეფასების ამოცანების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალის მიუკერძოებლობა.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების უმაღლესი მენეჯმენტის და შესაბამისობის შეფასების ამოცანების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალის ანაზღაურება არ უნდა იყოს დამოკიდებული განხორციელებული შეფასებების რაოდენობაზე ან ამ შეფასებების შედეგებზე.

9. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებმა უნდა გააუქმონ პასუხისმგებლობის დაზღვევა თუ ასეთ პასუხისმგებლობას არ აიღებს სახელმწიფო ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ან წევრი სახელმწიფო თავად არ იქნება პირდაპირ პასუხისმგებელი შესაბამისობის შეფასებაზე.

10. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს პერსონალი დაიცავს ამოცანების განხორციელების პროცესში მიღებული ინფორმაციის პროფესიონალურ კონფიდენციალურობას იმ დანართების 3 და 4 შესაბამისად ან ნებისმიერი ადგილობრივი კანონების საფუძველზე, რომელიც მათ ანიჭებს უფლებამოსილებას; აღნიშნული არ ვრცელდება წევრი სახელმწიფოს იმ კომპეტენტურ ორგანოებზე, სადაც ხორციელდება მათი საქმიანობა. ქონებრივი უფლებები უნდა იყოს დაცული.

11. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები მიიღებენ მონაწილეობას ან უზრუნველყოფენ რომ შესაბამისობის შეფასების ამოცანებზე პასუხისმგებელი მათი პერსონალი, იყოს ინფორმირებული შესაბამისი სტანდარტიზაციის საქმიანობის ისევე როგორც რადიოაპარატურის და სიხშირის დაგეგმვის სფეროში მარეგულირებელი საქმიანობის, და იმ შემფასებელი ორგანოს საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რომელიც შექმნილია ევროკავშირის შესაბამისი ჰარმონიზაციის კანონმდებლობის საფუძველზე, და რომელიც შეასრულებს ზოგად ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს და გამოიყენებს ამ ჯგუფის მუშაობის შედეგად მიღებულ დოკუმენტებს.

მუხლი 27

შემფასებელი ორგანოების შესაბამისობის პრეზუმპცია

თუ შესაბამისობის შემფასებელი ორგანო წარმოაჩენს მის შესაბამისობას კრიტერიუმებთან, რომლებიც მოცემულია შესაბამის ჰარმონიზებულ სტანდარტებში ან მათ იმ ნაწილებში, რომლებიც გამოქვეყნებულია ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში, მიიჩნევა რომ ის ასრულებს 26 მუხლის მოთხოვნებს იმდენად რამდენადაც შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტები ვრცელდება ამ მოთხოვნებზე.

მუხლი 28

შემფასებელი ორგანოების ფილიალები და შემფასებელი ორგანოების მიერ ქვეკონტრაქტების გაცემა

1. თუ შემფასებელი ორგანო ქვეკონტრაქტით გასცემს შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ დავალებებს ან დასახმარებლად მიმართავს ფილიალს, მან უნდა უზრუნველყოს რომ ქვეკონტრაქტორმა ან ფილიალმა დააკმაყოფილოს 26-ე მუხლში მოყვანილი მოთხოვნები და, შესაბამისად, უნდა აცნობოს ამის შესახებ შემტყობინებელ ორგანოს
2. შემფასებელი ორგანოები უნდა იღებდნენ სრულ პასუხისმგებლობას იმ ამოცანებზე,

რომლებსაც ასრულებენ ქვეკონტრაქტორები ან ფილიალები მათი დაფუძნების ადგილისდა მიუხედავად.

3. საქმიანობა შეიძლება, გაიცეს ქვეკონტრაქტით ან განხორციელდეს ფილიალის მიერ მხოლოდ კლიენტთან შეთანხმებით.

4. შემფასებელმა ორგანოებმა უნდა იქონიონ შემტყობინებელი ორგანოს განკარგულებაში შესაბამის დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება ქვეკონტრაქტორის ან ფილიალის კვალიფიკაციის შეფასებას და მათ მიერ განხორციელებული სამუშაოს შესრულებას დანართების 3 და 4 საფუძველზე.

მუხლი 29

შეტყობინების განაცხადი

1. შესაბამისობის შემფასებელმა ორგანომ უნდა ჩააბაროს განაცხადი შეტყობინებაზე წევრი სახელმწიფოს შემტყობინებელ იმ ორგანოს, სადაც ის დაფუძნებულია.

2. შეტყობინების შესახებ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისობის შეფასების საქმიანობის აღწერილობა, შესაბამისობის შეფასების მოდული ან მოდულები და რადიოაპარატურა, რომელთან დაკავშირებითაც აღნიშნული ორგანო აცხადებს, რომ არის კომპეტენტური; არსებობის შემთხვევაში, უნდა იყოს თანდართული აკრედიტაციის სერტიფიკატი, რომელიც გამოცემულია ეროვნული აკრედიტაციის ორგანოს მიერ, რომელიც ადასტურებს რომ შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ასრულებს 26-ე მუხლის მოთხოვნებს

3. თუ მოცემული შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ვერ წარმოადგენს აკრედიტაციის სერტიფიკატს, მან უნდა მიაწოდოს შემტყობინებელ ორგანოს ყველა დოკუმენტალურ მტკიცებულებას, რაც საჭიროა 26-ე მუხლის მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის დასამოწმებლად, ასალიარებლად და რეგულარული მონიტორინგის ჩასატარებლად.

მუხლი 30

შეტყობინების პროცედურა

1. შემტყობინებელმა ორგანოებმა შეიძლება, მიაწოდონ შეტყობინება მხოლოდ იმ შესაბამისობის შეფასებელ ორგანოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ 26 მუხლის მოთხოვნებს.

2. მათ უნდა მიაწოდონ შეტყობინება კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს ელექტრონული შეტყობინების იმ საშუალებების გამოყენებით, რომლებიც შემუშავებულია და იმართება კომისიის მიერ.

3. შეტყობინება უნდა მოიცავდეს შესაბამისობის შეფასების საქმიანობის სრულ

დეტალებს, შესაბამისობის შეფასების მოდულს ან მოდულებს და რადიოაპარატურას და კომპეტენციის შესაბამის ატესტაციას.

4. თუ შეტყობინება არ ეფუძნება 29.2 მუხლში მითითებულ აკრედიტაციის სერტიფიკატს, შემტყობინებელმა ორგანომ უნდა მიაწოდოს კომისიას და სხვა წევრ ქვეყნებს დოკუმენტალურ მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს კომპეტენციას და იმ დანერგილ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანოს რეგულარული მონიტორინგის ჩატარებას და 26-ე მუხლის მოთხოვნების შესრულებას.

5. აღნიშნულ ორგანოს შეუძლია შეასრულოს შემფასებელი ორგანოს საქმიანობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კომისია ან სხვა წევრი სახელმწიფოები განაცხადებენ თანხმობას მიღებიდან ორი კვირის ვადაში, აკრედიტაციის სერტიფიკატი გამოყენების შემთხვევაში; ან შეტყობინებიდან 2 თვეში, თუ აკრედიტაცია არ გამოიყენება.

ამ დირექტივის მიზნებისათვის მხოლოდ ამგვარი ორგანო იქნება მიჩნეული შემფასებელ ორგანოდ.

6. შემფასებელი ორგანო აცნობებს კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს შეტყობინებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

მუხლი 31

საიდენტიფიკაციო ნომრები და შემფასებელი ორგანოების სიები

1. კომისია მიანიჭებს შემფასებელ ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერს.

ის მიანიჭებს ერთ ამგვარ ნომერს მაშინაც კი, როდესაც ორგანოს აქვს მიღებული შეტყობინება ევროკავშირის რამოდენიმე აქტის/კანონის საფუძველზე.

2. კომისიამ უნდა გაასაჯაროვოს იმ ორგანოთა სიას, რომლებსაც მიეწოდათ შეტყობინება ამ დირექტივის საფუძველზე, მათ შორისმინიჭებულ საიდენტიფიკაციო ნომრებს, და იმ საქმიანობას, რომლის შესახებაც მათ მიეწოდათ შეტყობინება.

კომისია უზრუნველყოფს სიის რეგულარულად განახლებას.

მუხლი 32

ცვლილებები შეტყობინებებში

1. როდესაც შემტყობინებელი ორგანო დარწმუნდება ან მიიღებს ინფორმაციას მასზედ, რომ შემფასებელი ორგანო ვეღარ აკმაყოფილებს 26 მუხლის მოთხოვნებს, ან ვერ ასრულებს მის ვალდებულებას, შემტყობინებელი ორგანო გაამკაცრებს, შეაჩერებს ან გამოითხოვს შეტყობინებას, რაც დამოკიდებული იქნება ამ მოთხოვნების ან ვალდებულებების

შეუსრულებლობის სერიოზულობის ხარისხზე. ის დაუყოვნებლივ აცნობებს კომისიას და წევრ სახელმწიფოებს აღნიშნულის თაობაზე.

2. შეტყობინების გამკაცრების, შეჩერების ან შეტყობინების გამოთხოვნის შემთხვევაში, ან როდესაც შემფასებელი ორგანო წყვეტს თავის საქმიანობას, შემტყობინებელი წევრი სახელმწიფო განახორციელებს შესაბამის ზომებს იმის უზრუნველყოფად, რომ ამ ორგანოს ყველა ფაილი იყოს გადაცემული სხვა შემფასებელი ორგანოსთვის ან მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყოს პასუხისმგებელი შემტყობინებელი და ბაზრის ზედამხედველი ორგანოებისათვის.

მუხლი 33

შემფასებელი ორგანოების კომპეტენცია

1. თუ კომისია შეიტანს ეჭვს შემფასებელი ორგანოს კომპეტენციაში, ან შემფასებელი ორგანოს მიერ მისი ვალდებულებების და პასუხისმგებლობების უწყვეტად შესრულებაში, იგი ვალდებულია შეისწავლოს ყველა ასეთ შემთხვევას, .
2. მოთხოვნის საფუძველზე შემტყობინებელი წევრი სახელმწიფო ვალდებულია მიაწოდოს კომისიას, ყველა შეტყობინების საფუძველთან ან შემფასებელი ორგანოს კომპეტენციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. .
3. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს გამოძიების პროცესში მოპოვებული სენსიტიური ინფორმაციის კონფიდენციალურობას.
4. თუ კომისია დაადგენს, რომ შემფასებელი ორგანო არ ან აღარ აკმაყოფილებს შეტყობინების მოთხოვნებს, ის მიიღებს განამახორციელებელ აქტს, რომლითაც მოითხოვს, რომ შემტყობინებელმა წევრმა სახელმწიფომ განახორციელოს მაკორექტირებელი ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში, კომისიამ, შეიძლება, გამოითხოვოს შეტყობინება. .

აღნიშნული განმარტებული აქტი მიღებულ უნდა იქნეს 45.2 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 34

შემფასებელი ორგანოების საოპერაციო ვალდებულებები

1. შემფასებელი ორგანოებმა უნდა განახორციელონ შესაბამისობის შეფასებას შესაბამისობის შეფასების იმ პროცედურების შესაბამისად, რომლებიც მე-3-ე დამე- 4-ე

დანართშია მოცემული.

2. შესაბამისობის შეფასებები უნდა განხორციელდეს ჯეროვნად, ეკონომიკური ოპერატორებისათვის ზედმატად დატვირთვის გარეშე. შესაბამისობის შემფასებელმა ორგანომ უნდა განახორციელოს თავიანთ საქმიანობას დავალების მოცულობის, დაკავშირებული სექტორის, მისი სტრუქტურის, რადიოაპარატურის ტექნოლოგიის კომპლექსურობის ხარისხის და წარმოების პროცესის მასობრივი ან სერიული ხასიათის გათვალისწინებით.

ამ პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცულობის ის დონე, რომელიც საჭიროა რადიოაპარატურის ამ დირექტივასთან შესაბამისობისათვის.

3. თუ შემფასებელი ორგანო დაადგენს, რომ მე-3 მუხლის ძირითადი მოთხოვნები ან შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტები ან სხვა ტექნიკური სპეციფიკაციები არ არის შესრულებული მწარმოებლის მიერ, მან უნდა მოითხოვოს რომ მწარმოებელმა განახორციელოს შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები და არ უნდა გასცეს EU - ტიპის შემოწმების სერტიფიკატი ან ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტი.

4. თუ, შესაბამისობის მონიტორინგის პროცესში, რომელსაც მოყვება EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატის გაცემა ან ხარისხის დამადასტურება, შემფასებელი ორგანო დაადგენს რომ რადიოაპარატურა აღარ შეესაბამება მოთხოვნებს, უნდა მოითხოვოს მწარმოებლისგან, განახორციელოს შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები და ვალდებულია შეაჩეროს ან გამოითხოვოს EU- ტიპის შემოწმების სერტიფიკატს ან ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს.

5. თუ მაკორექტირებელი ღონისძიებები არ განხორციელდა ან არ გამოიღო საჭირო შედეგი, შემფასებელმა ორგანომ უნდა გაამკაცროს, შეაჩეროს ან გამოითხოვოს ნებისმიერ EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატს ან ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი 35

შემფასებელი ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრება

წევრი სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოფნ შემფასებელი ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას. .

მუხლი 36

შემფასებელი ორგანოების ინფორმირების ვალდებულება

1. შემფასებელმა ორგანოებმა უნდა აცნობონ შემტყობინებელ ორგანოებს შემდეგის თაობაზე:
 ა. EU - ტიპის შემოწმების სერტიფიკატის ან ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე უარი, ასეთის გამკაცრება, შეჩერება ან გამოთხოვნა დანართების 3 და 4 მოთხოვნების შესაბამისად;

ბ. ნებისმიერი გარემოება, რომელიც ზეგავლენას ახდენს შეტყობინების პირობებზე;

გ. ინფორმაციის ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც მათ მიიღეს ბაზრის ზედამხედველი ორგანოებისაგან და რომელიც შეეხება შესაბამისობის შეფასების საქმიანობას;

დ. შესაბამისობის შეფასების საქმიანობა, რომელიც შესრულებულია მათი შეტყობინების ფარგლებში და მოთხოვნის საფუძველზე ნებისმიერი სხვა შესრულებული საქმიანობა, , მათ შორის საზღვრებს შორის საქმიანობა და ქვეკონტრაქტები.

2. 3 და 4 დანართების მოთხოვნის შესაბამისად შემფასებელმა ორგანოებმა უნდა მიაწონ ინფორმაცია სხვა ორგანოებს, რომლებსაც ამ დირექტივის საფუძველზე მიეწოდათ შეტყობინება და რომლებიც ახორციელებენ მსგავს შესაბამისობის შეფასებას იგივე კატეგორიის რადიოაპარატურაზე; ასევე, იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამისობის შეფასების ნეგატიურ და (მოთხოვნის შესაბამისად), პოზიტიურ შედეგებთან.

3. მე-3-ე და მე-4-ე დანართების საფუძველზე შემფასებელი ორგანოები ვალდებული არიან შეასრულონ საინფორმაციო ვალდებულება.

მუხლი 37

გამოცდილების გაზიარება

კომისია უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების შეტყობინების პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ორგანოებს შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის დანერგვას.

მუხლი 38

შემფასებელი ორგანოების კოორდინირება

დირექტივის საფუძველზე კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კოორდინაცია და თანამშრომლობა შემფასებელ ორგანოებს შორის შემფასებელი ორგანოების დარგობრივი ჯგუფების შექმნის გზით.

წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათ მიერ შეტყობინებული ორგანოების მონაწილეობას სამუშაო ჯგუფებში, პირდაპირ ან დანიშნული წარმომადგენლების მეშვეობით.

თავი V

ევროკავშირის ბაზრის ზედამხედველობა, ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურის კონტროლი და ევროკავშირის უსაფრთხოების პროცედურა

მუხლი 39

ევროკავშირის ბაზრის ზედამხედველობა, ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული რადიოაპარატურის კონტროლი

(EC) No 765/2008 რეგულაციის მუხლი 15(3) დამუხლები 16 -29 გავრცელდება რადიოაპარატურაზე.

მუხლი 40

ადგილობრივ სახელმწიფოებრივ დონეზე რისკის შემცველი რადიოაპარატურის განთავსების პროცედურა,

1. თუ წევრი სახელმწიფოების ბაზრის საზედამხედველო ორგანოებს აქვთ საკმარისი მიზეზი მიიჩნიონ, რომ ის რადიოაპარატურა, რომელზეც ვრცელდება ეს დირექტივა, შეიცავს რისკს ადამიანების ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის იმ სხვა ასპექტების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება ეს დირექტივა, მათ უნდა განახორციელონ რადიოაპარატურის შეფასება; მათ შორის, ისინი შეაფასებენ ამ დირექტივაში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტს. საჭიროებისამებრ, შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ბაზრის საზედამხედველო ორგანოებთან ამ მიზნების შესასრულებლად.

თუ პირველ პარაგრაფში მითითებული შეფასების განხორციელებისას, ბაზრის საზედამხედველო ორგანოები დაადგენენ, რომ რადიოაპარატურა არ შეესაბამება ამ დირექტივის მოთხოვნებს, ისინი ვალდებული არიან, დაყოვნების გარეშე, მოსთხოვონ შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს, განახორციელოს მკორექტირებელი ღონისძიებები ამ მოთხოვნებთან რადიოაპარატურის შესაბამისობაში მოსაყვანად, ან შეუძლიათ, ამოიღონ რადიოაპარატურა ბაზრიდან ან გამოითხოვონ ის გონივრულ ვადებში დადგენილი რისკის შესაბამისად.

ბაზრის ზედამხედველი ორგანოები ვალდებული არიან აცნობონ შესაბამის შემფასებელ ორგანოებს მიღებული ზომების თაობაზე.

(EC) No 765/2008 რეგულაციის 21 მუხლი გავრცელდება ამ პარაგრაფის მეორე ქვეპუნქტში მითითებულ ზომებზე.

2. თუ ბაზრის ზედამხედველი ორგანოები მიიჩნევენ, რომ შეუსაბამობა არ შემოიფარგლება მათი სახელმწიფო ტერიტორიით, ისინი ვალდებული არიან აცნობონ კომისიას და სხვა წევრ ქვეყნებს შეფასების შედეგების და იმ ქმედებების შესახებ, რომლის განხორციელებაც მოსთხოვეს ეკონომიკურ ოპერატორებს.

3. ეკონომიკურმა ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ყველა შესაბამისი მაკორექტირებელი ზომების გატარება იმ კონკრეტული რადიოაპარატურის მიმართ, რომელიც მან განათავსა ევროკავშირის ბაზრებზე .

4. თუ შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორი ვერ გაატარებს ადეკვატურ ზომას 1 პარაგრაფის მე-2-ე ქვეპუნქტში მითითებულ პერიოდში, ბაზრის ზედამხედველი ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ შესაბამის ზომებს ადგილობრივ ბაზარზე რადიოაპარატურის აკრძალვის და ზომების გამკაცრების, ან აღნიშნული ბაზრიდან რადიოაპარატურის გამოთხოვნის მიზნით.

ბაზრის საზედამხედველო ორგანოებმა დაყოვნების გარეშე უნდა აცნობონ კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს ამ ზომების შესახებ.

5. მე-4 პარაგრაფის მეორე ქვეპარაგრაფში მითითებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ყველა ხელმისაწვდომ დეტალს, კერძოდ, მონაცემებს, რომელიც საჭიროა შეუსაბამო რადიოაპარატურის, მისი წარმომავლობის, შეუსაბამობის ტიპის და რისკის, სახელმწიფოს ადგილობრივ დონეზე გატარებული ზომების ხანგრძლივობისა და ეკონომიკური ოპერატორის არგუმენტების გამოსავლენად. კერძოდ, ბაზრის საზედამხედველო ორგანოები მიუთითებენ არის თუ არა შეუსაბამობა გამოწვეული ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მიზეზით:

ა. მე-3 მუხლში მითითებული შესაბამისი ძირითადი მოთხოვნების რადიოაპარატურის მიერ შეუსრულებლობა ან

ბ. ჰარმონიზებული სტანდარტების ნაკლოვანებები რომლებიც მე-16-ე მუხლშია აღნიშნული და ეხება შესაბამისობის პრეზუმციას.

6. წევრი სახელმწიფოები, იმ წევრი სახელმწიფოების გარდა, რომლებიც წამოიწყებენ პროცედურას ამ მუხლის შესაბამისად, ვალდებული არიან დაყოვნების გარეშე აცნობონ კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს მიღებული ზომების და მათ ხელთ არსებული რადიოაპარატურის შეუსაბამობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის თაობაზე, და წარმოადგენენ მათ არგუმენტებს სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებთან

მიმართებაში უთანხმოების შემთხვევაში.

7. თუ მე-4 პარაგრაფის მეორე ქვეპუნქტში მითითებული ინფორმაციის მიღებიდან სამ თვეში წევრი სახელმწიფო ან კომისია არ გამოთქვამს წინააღმდეგობას წევრი სახელმწიფოს მიერ გატარებული პირობითი ზომების თაობაზე, აღნიშნული ზომა გამართლებულად მიიჩნევა.

8. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთ შესაბამის შემზღვეველ ზომებს, როგორცაა რადიოაპარატურის გამოთხოვნა ბაზრიდან, რაც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს.

მუხლი 41

ევროკავშირის უსაფრთხოების პროცედურა

1. თუ მუხლებში 40.3 და 40.4 მოცემული პროცედურის დასრულებისას, წევრი ქვეყნების მიერ გატარებული ზომების მიმართ წარმოიშევა უთანხმოება ან თუ კომისია მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ზომები ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობას, კომისია, დაყოვნების გარეშე უნდა გაიაროს კონსულტაცია წევრ სახელმწიფოებთან და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორთან ან ოპერატორებთან და შეაფასოს ადგილობრივი ზომები. შეფასების შედეგების მიხედვით, კომისიამ უნდა მიიღოს განმახორციელებელი აქტი იმის თაობაზე არის თუ არა სახელმწიფოს მიერ ადგილობრივ დონეზე გატარებული ზომა მართლზომიერი.

კომისია მიაწვდის მის გადაწყვეტილებას ყველა წევრ ქვეყანას და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს ან ოპერატორებს.

2. თუ ეროვნულ დონეზე განხორციელებული ზომები მიიჩნევა გამართლებულად, ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საჭირო ზომებს შეუსაბამო რადიოაპარატურის გამოთხოვნის ან ბაზრებიდან ამოღების მიზნით, რის შესახებაც უნდა აცნობოს კომისიას. თუ ეროვნული ზომა მიიჩნევა გაუმართლებლად, წევრი სახელმწიფო ვალდებულია გამოითხოვოს აღნიშნული ზომა.

3. თუ ეროვნულ დონეზე განხორციელებული ზომა მიიჩნევა გამართლებულად და რადიოაპარატურის შეუსაბამობა უკავშირდება ამ დირექტივის 40.5 მუხლის ბ ქვე-პუნქტში მითითებული ჰარმონიზებული სტანდარტების ნაკლოვანებებს, კომისიამ უნდა ამოქმედოს პროცედურა, რომელიც მოცემულია (EU) No 1025/2012 რეგულაციის მე-11 მუხლში.

მუხლი 42

შესაბამისობაში მყოფი რადიო აპარატურა რომელიც მოიცავს რისკს

1. თუ, 40.1 მუხლის მიხედვით ჩატარებული შეფასებით, წევრი სახელმწიფო დაადგენს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რადიოაპარატურა არის შესაბამისობაში ამ დირექტივასთან ის წარმოადგენს რისკს პირების ჯანმრთელობის და უსაფრთხოებისთვის ან საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის სხვა ასპექტების მიმართ (რაც ამ დირექტივითაა განსაზღვრული), ის ვალდებულია მოსთხოვოს შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებს, გაატარონ ყველა ზომა რათა რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებისას ის აღარ შეიცავდეს რისკს, ან ამოიღონ რადიოაპარატურა ბაზრიდან ან გამოითხოვონ ის გონივრულ ვადებში აპარატურის რისკის შესაბამისად..

2. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს მაკორექტირებელი ქმედების გატარებას ევროკავშირის ბაზრებზე განთავსებული ნებისმიერი რადიოაპარატურის მიმართ..

3. წევრი სახელმწიფო ვალდებულია დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ყველა დეტალს, კერძოდ, მონაცემებს კონკრეტული რადიოაპარატურის, მის წარმომავლობის და მიწოდების ჯაჭვის, რისკის, ადგილობრივად გატარებული ზომის ხასიათისა და ხანგრძლივობის დასადგენად.

4. კომისიამ დაყოვნების გარეშე უნდა აწარმოოს კონსულტაციები წევრ სახელმწიფოებთან და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორთან ან ოპერატორებთან და შეაფასოს ადგილობრივ დონეზე განხორციელებული ზომები. ამ შეფასების შედეგების საფუძველზე, განმახორციელებელი აქტების მეშვეობით, კომისია ვალდებულია გადაწყვიტოს, არის თუ არა ადგილობრივი ზომა მართებული და საჭიროებისამებრ, შესთავაზებს შესაბამის ზომებს.

განმახორციელებელი აქტები/ნორმები, რომლებიც ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტშია მოცემული უნდა იყოს მიღებული 45.3 მუხლში მითითებული შემოწმების პროცედურის თანახმად.

სათანადოდ დასაბუთებულ, არსებით და გადაუდებელ საფუძველზე, რომელიც ეხება პირების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვას, კომისია ვალდებულია მიიღოს დაუყოვნებლივ ამოქმედებადი განმახორციელებელი აქტები/ნორმები 45.4 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.

5. კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მისი გადაწყვეტილება ყველა წევრ

სახელმწიფოს და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს ან ოპერატორებს.

მუხლი 43

ფორმალური შეუსაბამობა

1. 40-ემუხლის დარღვევის გარეშე, როდესაც წევრი სახელმწიფო ახორციელებს ერთერთ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, მან უნდა მოსთხოვოს შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს, აღმოფხვრას ის შეუსაბამობა, რომელიც ეხება შემდეგს:
 - ა. CE - ნიშანდება, რომელიც განთავსებულია (EC) No 765/2008 რეგულაციის 30-ე მუხლის ან ამ დირექტივის 20-ე მუხლის დარღვევით;
 - ბ. CE- ნიშანდება არ არის განთავსებული; ;
 - გ. შემფასებელი ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც ვრცელდება მე-4 დანართში მოცემული შესაბამისობის შეფასების პროცედურა, განთავსებულია 20-ე მუხლის დარღვევით ან არ არის განთავსებული;
 - დ. ევროკავშირისშესაბამისობის დეკლარაცია არ არის მომზადებული;
 - ე. ევროკავშირისშესაბამისობის დეკლარაცია არ არის სწორად მომზადებული;
 - ვ. ტექნიკური დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი არ არ არის სრული;
 - ზ. 10.6 ან 6 ან 12.3 მუხლებში მითითებული ინფორმაცია აკლია, ყალბია ან არასრული;
 - თ. რადიოაპარატურის გამიზნულად გამოყენების შესახებ ინფორმაცია, EU შესაბამისობის დეკლარაცია ან 10.8, 9 და 10 მუხლებში მოცემული სარგებლობის შეზღუდვები არ ახლავს თან რადიოაპარატურას;
 - ი. ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიკაციის მე-15 მუხლში მითითებული შეუსრულებელი მოთხოვნები;
 - კ. არ არის მიღწეული 5 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობა.
2. როდესაც ფიქსირდება 1 პარაგრაფში მითითებული შეუსაბამობა დაკავშირებული წევრი სახელმწიფო გაატარებს ყველა სათანადო ზომას, რათა შეზღუდოს ან აკრძალოს შესაბამისი რადიოაპარატურის ხელმისაწვდომობა ბაზარზე ან უზრუნველყოს მისი ამოღება ან ბაზრიდან გამოთხოვნა.

თავი VI

დელეგირებული აქტები და განმახორციელებელი აქტები და კომიტეტი

მუხლი 44

დელეგირების განხორციელება

1. დელეგირებული აქტების მიღების უფლებამოსილება ენიჭება კომისიას ამ მუხლის პირობების შესაბამისად.
2. დელეგირებული აქტების მიღების უფლებამოსილება, რომელიც მითითებულია 3.3 4.2 და 5.2 მუხლების მეორე ქვეპუნქტში, მიენიჭება კომისიას ხუთწლიანი პერიოდით 2014 წლის 11 ივნისიდან. კომისია ვალდებულია მოამზადოს ანგარიში უფლებამოსილების დელეგირებასთან დაკავშირებით არაუგვიანეს ცხრა თვისა ხუთწლიანი პერიოდის დასრულებამდე. უფლებამოსილების დელეგირება გავრცელდება იდენტური ხანგრძლივობის პერიოდებზე, თუკი ევროპარლამენტი ან საბჭო არ იქნება ამგვარი ვადის გაგრძელების წინააღმდეგი, თითოეული პერიოდის დასრულებამდე არაუგვიანეს სამ თვემდე ვადაში.
3. 3.3, 4.2 და 5.2 მუხლების მეორე ქვეპუნქტში მითითებული უფლებამოსილების დელეგირება შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს ევროპის პარლამენტის ან საბჭოს მიერ. გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეწყვეტს იმ უფლებამოსილების დელეგირებას, რომელიც ამ გადაწყვეტილებაშია დაფიქსირებული. ის შევა ძალაში ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების მეორე დღიდან ან მოგვიანებით, როგორც ეს იქნება დაკონკრეტებული. აღნიშნული არ იქონიებს ზეგავლენას ნებისმიერი, უკვე მოქმედი დელეგირებული აქტების ქმედუნარიანობაზე.
4. დელეგირებული აქტის მიღებისთანავე, კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ევროპის პარლამენტს და საბჭოს.
5. დელეგირებული აქტი, რომელიც მიღებულია 3.3, 4.2 და 5.2 მუხლის მეორე ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპის პარლამენტის ან საბჭოსგან მიღებული იქნება დასტური აღნიშნული აქტის ევროპის პარლამენტისთვის და საბჭოსთვის შეტყობინებიდან ორი თვის განმავლობაში ან, იმ შემთხვევაში თუ ამ პერიოდის გავლამდე, ევროპის პარლამენტმა და საბჭომ აცნობეს კომისიას, რომ ისინი არ არიან წინააღმდეგი. ეს პერიოდი შეიძლება, გაგრძელდეს ორი თვით ევროპის პარლამენტის ან საბჭოს ინიციატივით.

მუხლი 45

კომიტეტის პროცედურა

1. კომისიას დახმარებას გაუწევს ტელეკომუნიკაციების შესაბამისობის შეფასების და ბაზარზე ზედამხედველობის კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტის განმარტება მოცემულია (EU) No 182/2011 რეგულაციაში.
2. თუ მითითება გაკეთებულია ამ პარაგრაფზე, უნდა გავრცელდეს (EU) No 182/2011 რეგულაციის 4 მუხლი.
3. თუ მითითება გაკეთებულია ამ პარაგრაფზე, უნდა გავრცელდეს (EU) No 182/2011 რეგულაციის 5 მუხლი.
4. თუ მითითება გაკეთებულია ამ პარაგრაფზე უნდა გავრცელდეს (EU) No 182/2011 რეგულაციის 8 მუხლი მეხუთე მუხლთან მიმართებაში.
5. კომიტეტი კონსულტაციებს გაივლის კომისიასთან ნებისმიერ საკითხზე, რომელზეც დარგობრივი ექსპერტების კონსულტაცია არის მოთხოვნილი (EU) No 1025/2012 რეგულაციის ან ევროკავშირის ნებისმიერი კანონმდებლობის მიერ.

კომიტეტმა შეიძლება, განიხილოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც ეხება ამ დირექტივის ამოქმედებას და რომელიც წამოჭრა მისმა თავმჯდომარემ ან წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელმა მისი პროცედურული წესების შესაბამისად.

თავი VII

საბოლოო და გარდამავალი დებულებები

მუხლი 46

ჯარიმები

წევრი სახელმწიფოები შეიმუშავენ წესებს იმ ჯარიმების შესახებ, რომლებიც ვრცელდება ამ დირექტივის საფუძველზე მიღებული ეროვნული კანონმდებლობის დებულებების ეკონომიკური ოპერატორების მიერ დარღვევაზე და განახორციელებენ ყველა ზომებს, რომლებიც საჭიროა მათ ასამოქმედებლად. სერიოზული დარღვევებისთვის ამგვარი წესები შეიძლება, მოიცავდეს სისხლის სამართლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და დასაბუთებული.

მუხლი 47

განხილვა/გადახედვა/რევიზია და ანგარიშგება

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან კომისიას წარუდგინონ რეგულარული ანგარიშები ამ დირექტივის ამოქმედების თაობაზე 2017 წლის 12 ივნისისთვის და სულ მცირე მომდევნო ორ წელიწადში ერთხელ. ანგარიშები უნდა მოიცავდეს პრეზენტაციას ბაზარზე ზედამხედველობის იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ახორციელებენ წევრი სახელმწიფოები; ასევე, ის უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დირექტივის მოთხოვნების შესრულების ან შეუსრულებლობის თაობაზე, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიკაციის მოთხოვნები.

2. კომისია ვალდებულია შეისწავლოს ამ დირექტივის მოქმედება და შესაბამისი ანგარიში მიაწოდოს ევროპის პარლამენტს და საბჭოს, 2018 წლის 12 ივნისს და ყოველ მომდევნო ხუთ წელიწადში ერთხელ. ანგარიში ასახავს შესაბამისი სტანდარტების შემუშავების პროგრესს, ასევე ნებისმიერ პრობლემას, რემელიც წამოიჭრება განხორციელების პროცესში. ანგარიში ასევე მიმოიხილავს ტელეკომუნიკაციის შესაბამისობის შეფასების და ბაზარზე დაკვირვების კომიტეტის საქმიანობას, შეაფასებს ევროკავშირის ფარგლებში რადიოაპარატურისთვის ღია კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების პროგრესს და შეამოწმებს თუ როგორ უნდა შემუშავდეს მარეგულირებელი ჩარჩო რადიოაპარატურის ბაზარზე განსათავსებლად და ექსპლუატაციაში გასაშვებლად, შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- ა. ევროკავშირის დონეზე ყველა რადიოაპარატურისთვის თანმიმდევრული სისტემის შემუშავების უზრუნველყოფა;
- ბ. შესაძლებელი გახდეს ტელეკომუნიკაციების, აუდიო-ვიზუალური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორების კონვერგენცია.
- გ. მარეგულირებელი ზომების ჰარმონიზება საერთაშორისო დონეზე;
- დ. მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევა;
- ე. პორტატული რადიოაპარატურის აქსესუარებით ფუნქციონირების უზრუნველყოფა , კერძოდ საერთო დამმუხტავი ხელსაწყოებით;
- ვ. სადაც რადიოაპარატურა განთავსებულია ინტეგრირებული ეკრანით, საჭირო ინფორმაცია უნდა გამოისახოს ინტეგრირებულ ეკრანზე.

მუხლი 48

გარდამავალი დებულებები

წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა შეაფერონ ამ დირექტივით განსაზღვრული ასპექტებისთვის, ამ დირექტივით დარეგულირებული და 2016 წლის 13 ივნისამდე მოქმედი ევროკავშირის შესაბამისი ჰარმონიზაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი რადიოაპარატურის და იმ რადიოაპარატურის ბაზარზე ხელმისაწვდომობას და ექსპლუატაციაში გაშვებას, რომელიც ბაზარზე განთავსდა 2017 წლის 13 ივნისამდე.

მუხლი 49
დანერგვა (დირექტივის)

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ და გამოაქვეყნონ, კანონები, მარეგულირებელი აქტები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც ამ დირექტივასთან უნდა იყოს შესაბამისობაში, 2016 წლის 12 ივნისამდე. ისინი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ კომისიას ამ ზომების ტექსტის/შინაარსის შესახებ. ეს ზომები ამოქმედდება 2016 წლის 13 ივნისის შემდგომ.

წევრი სახელმწიფოების მიერ ამ ზომების მომზადებისას ისინი უნდა მოიცავდნენ მითითებას ამ დირექტივაზე ან ოფიციალური პუბლიკაციის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ამგვარი მითითება. ასევე, ისინი უნდა შეიცავდეს განაცხადს მასზე, რომ არსებულ კანონებში, მარეგულირებელ აქტებში და ადმინისტრაციულ დებულებებში ამ დირექტივით გაუქმებულ დირექტივაზე მითითება მიიჩნევა ამ დირექტივაზე მითითებად. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან განსაზღვრონ ამგვარი მითითებისა და განაცხადის ფორმულირება.

2. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან კომისიას მიაწოდონ ეროვნული კანონის ძირითადი დებულებების ტექსტს, რომელსაც ისინი მიიღებენ ამ დირექტივით დარეგულირებულ სფეროში.

მუხლი 50
გაუქმება

1999/5/EC დირექტივა ძალას კარგავს 2016 წლის 13 ივნისიდან.

გაუქმებულ დირექტივაზე მითითება მიიჩნევა ამ დირექტივაზე მითითებად და იქნება წაკითხული 8 დანართში მოცემული კორელაციური ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 51
ძალაში შესვლა

ეს დირექტივა ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მეთორმეტე დღეს.

*მუხლი 52***ადრესატები**

ეს დირექტივა განსაზღვრულია წევრი სახელმწიფოებისათვის.
მომზადებულია სტრასბურგში, 2014 წლი
16 აპრილს.

ევროპის პარლამენტის პრეზიდენტი

*საბჭოს
პრეზიდენტი*

მ. შულცი

*დ.
კურკულასი*

დანართი I

აპარატურა, რომელზეც არ ვრცელდება წინამდებარე დირექტივა

1. რადიომოწყვარულებისთვის განკუთვნილი რადიოაპარატურა, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირის რადიო რეგულაციების პირველი მუხლის 56-ე განმარტებაში, თუ არ ხდება ამ აპარატურის ბაზარზე განთავსება.

შემდეგი აპარატურა ჩაითვლება იმ აპარატურად, რომლის განთავსებაც ბაზარზე არ ხდება:

(ა) რადიომოწყვარულებისთვის განკუთვნილი ასაწყობი რადიო კომპლექტები;

(ბ) რადიომოწყვარულებისთვის განკუთვნილი მოდიფიცირებული რადიოაპარატურა;

(გ) ცალკეული რადიომოწყვარულების მიერ კონსტრუირებული აპარატურა რადიომოწყვარულობასთან დაკავშირებული საექსპერიმენტო და სამეცნიერო მიზნებისთვის.

2. ევროპის საბჭოს 96/98/EC დირექტივით განსაზღვრული საზღვაო აპარატურა¹⁶.

3. საავიაციო პროდუქცია, ნაწილები და მოწყობილობები, ასევე ნაწილები, რომლებზეც ვრცელდება ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 216/2008 რეგულაციის მე-3 მუხლი¹⁷.

4. პროფესიონალებისთვის განკუთვნილი შეკვეთით დამზადებული შეფასების კომპლექტები, რომელთა გამოყენება ხდება მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისთვის

¹⁶ ევროპის საბჭოს 1996 წლის 22 დეკემბრის 96/98/EC დირექტივა საზღვაო მოწყობილობების შესახებ (OJ L 46, 17.2.1997, გვ. 25).

¹⁷ ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს 216/2008 2008 წლის 20 თებერვლის რეგულაცია სამოქალაქო ავიაციის საერთო წესების, ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს ჩამოყალიბებისა და ევროპის საბჭოს 91/670/EEC დირექტივის, 1592/2002 რეგულაციის და 2004/36/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (OJ L 79, 19.3.2008, გვ. 1).

*დანართი II***შესაბამისობის შეფასების მოდული „ა“****წარმოების შიდა კონტროლი**

1. წარმოების შიდა კონტროლი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის მიხედვითაც მწარმოებელი ასრულებს ამ დანართის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში განსაზღვრულ მოვალეობებს, უზრუნველყოფს და ახდენს თავისი პასუხისმგებლობის დეკლარირებას, რომ მის მიერ წარმოებული რადიოაპარატურა სრულად შეესაბამება მე-3 მუხლში მოცემულ ძირითად მოთხოვნებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელი ვალდებულია, შეიმუშაოს ტექნიკური დოკუმენტაცია 21-ე მუხლის შესაბამისად.

3. წარმოება

მწარმოებელი ვალდებულია, ყველა საჭირო ზომა გაატაროს, რათა უზრუნველყოს რადიოაპარატურის საწარმოო პროცესის და მისი მონიტორინგის შესაბამისობა ამ დანართის მე-2 პუნქტში მითითებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და მე-3 მუხლში მოცემულ ძირითად მოთხოვნებთან.

4. CE-ის ნიშანდება და ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია

4.1. მწარმოებელი ვალდებულია, მოახდინოს რადიოაპარატურის იმ თითოეული ერთეულის, CE-ის ნიშანდება მე-19 და მე-20 მუხლებში განსაზღვრული წესების მიხედვით, რომელიც აკმაყოფილებს ამ დირექტივის შესაბამის მოთხოვნებს,.

4.2. მწარმოებელი ვალდებულია, წერილობით მოამზადოს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია რადიოაპარატურის თითოეული სახეობისთვის და შეინახოს ის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია უნდა იძლეოდეს იმ რადიოაპარატურის იდენტიფიცირების საშუალებას, რომლისთვის მოხდა ამ დეკლარაციის მომზადება.

ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ასლი უნდა წარედგინოს შესაბამის ორგანოებს მათი მოთხოვნისამებრ.

5. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მე-4 პუნქტში განსაზღვრული მწარმოებლის მოვალეობები, მისი სახელით და პასუხისმგებლობით, შეიძლება შეასრულოს მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, თუ ამას მისი მანდატი ითვალისწინებს.

*დანართი III***შესაბამისობის შეფასების მოდულები B და C**

ევროპული ტიპის პროდუქტის შემოწმება და პროდუქტის ტიპის შესაბამისობა წარმოების შიდა კონტროლის მიხედვით

ამ დანართზე მითითების შემთხვევაში, შესაბამისობის შეფასების პროცედურა უნდა განხორციელდეს მოდული B-ის (ევროპული ტიპის პროდუქტის შემოწმება) და მოდული C-ის (პროდუქტის ტიპის შესაბამისობა წარმოების შიდა კონტროლი) მიხედვით.

მოდული B**ევროპული ტიპის საქონლი შემოწმება**

1. ევროპული ტიპის საქონლის შემოწმება წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის დროსაც შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო ამოწმებს რადიოაპარატურის ტექნიკურ პროექტს, ადასტურებს და ახდენს იმის დამოწმებას, რომ რადიოაპარატურის ტექნიკური პროექტი შეესაბამება მე-3 მუხლში განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებს.
2. ევროპული საქონლის ტიპის შემოწმება უნდა განხორციელდეს რადიოაპარატურის ტექნიკური პროექტის ადეკვატურობის შეფასების გზით, რაც გულისხმობს ტექნიკური დოკუმენტაციის და მე-3 პუნქტში მოცემული დამატებითი მტკიცებულებების შემოწმებას, პროდუქტის ტიპის (პროექტის ტიპის) შემოწმების გარეშე.
3. მწარმოებელს უფლება აქვს, შეიტანოს განცხადება ევროპული ტიპის საქონლის შემოწმების შესახებ მის მიერ შერჩეულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში. განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - (ა) მწარმოებლის დასახელება და მისამართი; იმ შემთხვევაში, თუ განცხადება შეტანილია მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ასევე, წარმომადგენლის დასახელება და მისამართი;
 - (ბ) წერილობითი განაცხადი იმის შესახებ, რომ განცხადება არ არის წარდგენილი სხვა ორგანოში;
 - (გ) ტექნიკური დოკუმენტაცია. ტექნიკური დოკუმენტაცია რადიოაპარატურის ამ დირექტივის შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების საშუალებას უნდა

იძლეოდეს და მოიცავდეს ადეკვატურ ანალიზს და რისკის(-ებ)ის შეფასებას. ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იქნეს ამ რადიოაპარატურასთან დაკავშირებით არსებული შესაბამისი მოთხოვნები და შეფასებისთვის საჭირო რადიოაპარატურის პროექტის, წარმოების პროცესის და მისი ფუნქციონირების აღწერილობა. საჭიროების შემთხვევებში, ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მე-5 დანართში განსაზღვრული ელემენტების შესახებ;

(დ) ტექნიკური პროექტის გადაწყვეტის ადეკვატურობის მტკიცებულების დამადასტურებელი ინფორმაცია. ამ მტკიცებულებაში აღნიშნული უნდა იქნეს გამოყენებული დოკუმენტები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც არ მოხდა შესაბამისი ჰარმონიზირებული სტანდარტების გამოყენება ან მათი სრულად გამოყენება. საჭიროების შემთხვევებში, მტკიცებულების დამადასტურებელი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მწარმოებლის შესაბამისი ლაბორატორიის ან მისი დავალებით და პასუხისმგებლობით, სხვა საგამოცდო ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების ტესტირების შედეგებს.

4. შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ უნდა შეამოწმოს ტექნიკური ინფორმაცია და მტკიცებულების დამადასტურებელი ინფორმაცია რადიოაპარატურის ტექნიკური პროექტის ადეკვატურობის შეფასების მიზნით.
5. შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ უნდა შეადგინოს შეფასების ანგარიში, რომელშიც აღწერილი იქნება მე-4 პუნქტის მიხედვით განხორციელებული საქმიანობა და მისი შედეგები. მე-8 პუნქტში განსაზღვრული მოვალეობებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, უფლებამოსილმა ორგანომ უნდა, მთლიანად ან ნაწილობრივ, გამოაქვეყნოს ზემოაღნიშნული ანგარიში მხოლოდ მწარმოებლის თანხმობის შემთხვევაში.
6. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ტიპი აკმაყოფილებს ამ დირექტივის მოთხოვნებს რადიოაპარატურის ამ ტიპთან დაკავშირებით, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო გასცემს ევროპული ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატს. სერტიფიკატში აღნიშნული უნდა იქნეს მწარმოებლის დასახელება და მისამართი, შემოწმების დასკვნები და ინფორმაცია ძირითადი მოთხოვნების ასპექტების შემოწმების შესახებ, საიმედოობის პირობები (მათი არსებობის შემთხვევაში), შეფასებული საქონლის ტიპის იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემები. ევროპული ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატს შეიძლება, ქონდეს ერთი ან მეტი დანართი.
ევროპული ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატი და მისი დანართები უნდა მოიცავდნენ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება წარმოებული რადიოაპარატურის შემოწმებულ საქონლის ტიპთან შესაბამისობის შეფასება და საექსპლუატაციო კონტროლის განხორციელება.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ტიპი არ აკმაყოფილებს ამ დირექტივის შესაბამის მოთხოვნებს, უფლებამოსილი ორგანო არ გასცემს ევროპული ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატს, დეტალურად განუმარტავს განმცხადებელს უარის თქმის მიზეზებს.

7. ზემოაღნიშნული ორგანო ინფორმირებული უნდა იყოს ამ სფეროში განხორციელებულ ნებისმიერ ცვლილებაზე, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ დამტკიცებული საქონლის ტიპი აღარ შეესაბამება ამ დირექტივის შესაბამის მოთხოვნებს, რის შემდეგაც უნდა განსაზღვროს საჭიროებენ თუ არა ეს ცვლილებები შემდგომ შემოწმებას. თუ ცვლილებები საჭიროებენ ასეთ შემოწმებას, მან ამასზე უნდა შეატყობინოს მწარმოებელს.

მწარმოებელმა უნდა აცნობოს ზემოაღნიშნულ უფლებამოსილ ორგანოს, რომ გააჩნია ევროპის ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაცია საქონლის დამტკიცებული ტიპის ყველა იმ მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ რადიოაპარატურის ამ დირექტივის მოთხოვნებთან ან სერტიფიკატის მოქმედების პირობებთან შესაბამისობაზე. ზემოაღნიშნული მოდიფიკაცია საჭიროებს დამატებით დამტკიცებას ევროპის ტიპის საქონლის შემოწმების პირველადი სერტიფიკატში დამატების გაკეთების ფორმით.

8. ზემოაღნიშნულმა თითოეულმა ორგანომ უნდა აცნობის მის უფლებამოსილებაზე მის მიერ გაცემულ ან გაუქმებულ ევროპის ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატებთან ან/და დამატებებთან დაკავშირებით და პერიოდულად ან მოთხოვნისამებრ, უნდა წარადგინოს იმ სერტიფიკატების ან/და დამატებების სია, რომლის გაცემაზე უარი განაცხადა, შეაჩერა ან დააწესა სხვა სახის შეზღუდვა.

ზემოაღნიშნულმა თითოეულმა ორგანომ უნდა შეატყობინოს სხვა მსგავს ორგანოებს იმ სერტიფიკატების ან/და დამატებების თაობაზე, რომლის გაცემაზე უარი განაცხადა, შეაჩერა ან დააწესა სხვა სახის შეზღუდვა, და მოთხოვნისამებრ, მიაწოდოს ინფორმაცია გაცემული სერტიფიკატების შესახებ.

ზემოაღნიშნულმა თითოეულმა ორგანომ უნდა აცნობოს წევრ ქვეყნების ევროპის ტიპის საქონლის შემოწმების გაცემული სერტიფიკატების ან/და დამატებების შესახებ, თუ ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მითითებული ჰარმონიზირებული სტანდარტების გამოყენება არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა. წევრ ქვეყნებს, ევროკომისიას და სხვა შესაბამის ორგანოებს, მოთხოვნისამებრ, შეუძლიათ მიიღონ ტექნიკური დოკუმენტაციის და შემოწმების შედეგების ამსახველი დოკუმენტების ასლები. ზემოაღნიშნულმა ორგანომ უნდა შეინახოს ევროპის ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატის, დანართებისა და დამატებების ასლები და ტექნიკური ფაილი მწარმოებლის მიერ მოწოდებული ტექნიკური დოკუმენტაციის ჩათვლით

რადიოაპარატურის შეფასებიდან 10 წლის განმავლობაში ან სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურამდე.

9. მწარმოებელმა უნდა შეინახოს ევროპული ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატი, მისი ასლებისა და დამატებების ასლები ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.
10. მწარმოებლის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს შეიტანოს მე-3 პუნქტში აღნიშნული განაცხადი და შეასრულოს მე-7 და მე-9 პუნქტებში განსაზღვრული მოვალეობები, თუ ეს მისი უფლებამოსილებით გათვალისწინებულია.

პროდუქტის ტიპის შესაბამისობა წარმოების შიდა კონტროლის საფუძველზე

1. პროდუქტის ტიპის შესაბამისობა წარმოების შიდა კონტროლის მიხედვით წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის დროსაც მწარმოებელი ასრულებს მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილ მოვალეობებს, უზრუნველყოფს და ახდენს იმის დეკლარირებას, რომ შესაბამისი რადიოაპარატურა შეესაბამება EU ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატში აღწერილ საქონლის ტიპს და აკმაყოფილებს ამ დირექტივის შესაბამის მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელი ვალდებულია, ყველა საჭირო ზომა გაატაროს, რათა რადიოაპარატურის საწარმოო პროცესმა და მონიტორინგმა უზრუნველყოს წარმოებული რადიოაპარატურის შესაბამისობა EU ტიპის შემოწმების სერტიფიკატში აღწერილ ტიპთან და იმ დირექტივის მოთხოვნებთან, რომელიც ვრცელდება მასზე.

3. CE-ის ნიშანდება და ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია

3.1. მე-19 და 20-ე მუხლების შესაბამისად, მწარმოებელი ვალდებულია, მოახდინოს CE ნიშანდება რადიოაპარატურის იმ თითოეული ერთეულზე, რომელიც შეესაბამება EU ტიპის საქონლის შემოწმების სერტიფიკატში აღნიშნულ საქონლის ტიპს და რომელიც აკმაყოფილებს ამ დირექტივის შესაბამის მოთხოვნებს.

3.2 მწარმოებელი ვალდებულია, წერილობით მოამზადოს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია რადიოაპარატურის თითოეული სახეობისთვის და შეინახოს ის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია უნდა იძლეოდეს იმ რადიოაპარატურის იდენტიფიცირების საშუალებას, რომლისთვისაც მოზადდა ასეთი დეკლარაცია .

მოთხოვნისამებრ, ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ასლი უნდა წარედგინოს შესაბამის ორგანოებს.

6. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მე-3 პუნქტში განსაზღვრული მწარმოებლის მოვალეობები, მისი სახელით და პასუხისმგებლობით, შეიძლება შეასრულოს მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, თუ ამას მისი მანდატი ითვალისწინებს.

დანართი IV

შესაბამისობის შეფასების მოდული H

სრული ხარისხის უზრუნველყოფაზე დაფუძნებული შესაბამისობა

1. სრული ხარისხის უზრუნველყოფაზე დაფუძნებული შესაბამისობა წარმოედგენს წარმოების შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის დროსაც მწარმოებელი ასრულებს მე-2 და მე-5 პუნქტებში ჩამოთვლილ მოვალეობებს, უზრუნველყოფს და ახდენს იმის დეკლარირებას, რომ შესაბამისი რადიოაპარატურა აკმაყოფილებს ამ დირექტივის შესაბამის მოთხოვნებს

2. **წარმოება**

მწარმოებელი ვალდებულია, გამოიყენოს პროექტირებისთვის, წარმოებისთვის, რადიოაპარატურის საბოლოო ინსპექტირებისთვის და მისი ტესტირებისთვის დამტკიცებული ხარისხის სისტემა მე-3 პუნქტში განსაზღვრული წესის მიხედვით რაზეც განხორციელდება ზედმხედველობა მე-4 პუნქტის შესაბამისად.

3. **ხარისხის სისტემა**

- 3.1. მწარმოებელმა უნდა შეიტანოს განცხადება რადიოაპარატურის წარმოების დროს გამოყენებული ხარისხის სისტემის შეფასების მოთხოვნით მის მიერ შერჩეულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში.

განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

(a) მწარმოებლის დასახელება და მისამართი; იმ შემთხვევაში, თუ განცხადება შეტანილია მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ასევე, მისი დასახელება და მისამართი;

(b) ტექნიკური დოკუმენტაცია რადიოაპარატურის იმ თითოეული ტიპისთვის, რომლის წარმოება არის დაგეგმილი. შესაბამის შემთხვევაში, ტექნიკური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მე-5 დანართში განსაზღვრულ ელემენტებს;

(c) ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; და

(d) წერილობითი დასტური მასზედ რომ განცხადება არ არის წარდგენილი სხვა ორგანოში.

- 3.2. ხარისხის სისტემა უზრუნველყოფს რადიოაპარატურის შესაბამისობას ამ დირექტივის სათანადო მოთხოვნებთან.

უნდა მოხდეს მწარმოებლის მიერ გამოყენებული ყველა იმ ელემენტის, მოთხოვნისა და დებულების დოკუმენტირება წერილობით ფორმაში პოლიტიკის, პროცედურებისა და ინსტრუქციების სახით. ხარისხის სისტემის ზემოაღნიშნული

დოკუმენტაცია ხარისხის პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელოებისა და ჩანაწერების თანმიმდევრული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

კერძოდ, დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილის ადექვატურ აღწერილობას:

- (a) ხარისხთან დაკავშირებული ამოცანები, ორგანიზაციული სტრუქტურა, მენეჯმენტის მოვალეობები და უფლებამოსილება პროექტირებასთან და საქონლის ხარისხთან დაკავშირებით;
- (b) ტექნიკური პროექტის სპეციფიკაცია იმ სტანდარტების ჩათვლით, რომელთა გამოყენება არის დაგეგმილი; იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტების გამოყენება მთლიანად არ ხდება, აღნიშნული უნდა იქნეს ის გადაწყვეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ რადიოაპარატურის ამ დირექტივის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- (c) პროექტის კონტროლის და გადამოწმების მეთოდები, პროცესები და სისტემატიური ზომები, რომელთა გამოყენება რადიოაპარატურის პროექტირებისას გამოსაშვები რადიოაპარატურის ტიპთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- (d) განსახორციელებლად დაგეგმილი საწარმოო, ხარისხის კონტროლისა და შესაბამისობის მეთოდები, პროცესები და სისტემატიური ზომები;
- (e) შემოწმებები და ტესტები, რომლებიც ჩატარდება საქონლის წარმოებამდე, წარმოებისას და მის შემდეგ და მათი განხორციელების სიხშირე;
- (f) ხარისხის შესახებ ჩანაწერები, როგორცაა ინსპექტირების ანგარიშები და ტესტირების მონაცემები, კალიბრირების მონაცემები და ანარიშები თანამშრომლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და სხვა;
- (g) ღონისძიებები პროდუქტის სავალდებულო პროექტის და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის უზრუნველყოფისთვის.

3.3. ზემოაღნიშნულმა ორგანომ უნდა შეაფასოს ხარისხის სისტემა და განსაზღვროს პასუხობს თუ არა ეს სისტემ მე-3.2 პუნქტის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულმა ორგანომ უნდა დაადგინოს ხარისხის სისტემის ელემენტების შესაბამისობა იმ მოთხოვნებთან, რომლებიც შეესაბამება შესაბამისი ჰარმონიზირებული სტანდარტის შესაბამის სპეციფიკაციებს.

გარდა გამოცდილებისა ხარისხის მართვის სისტემებში, აუდიტის ჯგუფის მინიმუმ ერთი წევრს უნდა გააჩნდეს გამოცდილება რადიოაპარატურის შესაბამის სფეროსა და რადიოაპარატურის ტექნოლოგიების შეფასების კუთხით და ამ დირექტივის შესაბამისი მოთხოვნების ცოდნა. აუდიტის დროს უნდა მოხდეს მწარმოებლის საწარმოს დათვალიერება მისი შეფასების მიზნით. აუდიტის ჯგუფმა უნდა შეამოწმოს მე-3.1 (ბ) პუნქტში აღნიშნული ტექნიკური დოკუმენტაცია, რათა

დარწმუნდეს, რომ მწარმოებელს შეუძლია ამ დირექტივის შესაბამისი მოთხოვნების იდენტიფიცირება და საჭირო შემოწმებების ჩატარება რადიოაპარატურის ამ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

მწარმოებელს ან მის უფლებამოსილ პირს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იქნეს აუდიტის დასკვნები და შეფასების არგუმენტირებული გადაწყვეტილება.

3.4. მწარმოებელმა უნდა შეასრულოს ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულებები სისტემის დამტკიცებისთანავე და უზრუნველყოს ამ სისტემის ადეკვატური და ეფექტური ფუნქციონირება.

3.5. მწარმოებელმა უნდა აცნობოს ხარისხის სისტემაში შესატან ნებისმიერ ცვლილების შესახებ იმ ორგანოს, რომელმაც დაამტკიცა მისი ხარისხის სისტემა.

ზემოაღნიშნული ორგანო შეაფასებს შესატან ცვლილებებს და მიიღებს გადაწყვეტილებას აკმაყოფილებს თუ არა ხარისხის მოდიფიცირებული სისტემა 3.2 პუნქტის მოთხოვნებს თუ აუციელებებია ახალი შეფასების ჩატარება.

თავის გადაწყვეტილებას აცნობებს მწარმოებელს. შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იქნეს აუდიტის დასკვნები და შეფასების არგუმენტირებული გადაწყვეტილება.

4. ზედამხედველობა უფლებამოსილი ორგანოს პასუხისმგებლობით

4.1. ზედამხედველობის მიზანს წარმოადგენს მწარმოებლის მიერ ხარისხის დამტკიცებული სისტემასთან დაკავშირებული მოვალეობების სათანადოდ შესრულების უზრუნველყოფა.

4.2. შეფასების მიზნით, მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ორგანოს დაშვება პროექტირების, წარმოების, ინსპექტირების, ტესტირების და დასაწყობების ადგილებზე და მიაწოდოს მას ყველა საჭირო ინფორმაცია, კერძოდ:

(a) ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

(b) ხარისხის სისტემის დაპროექტების ნაწილში გათვალისწინებული ხარისხის ჩანაწერები როგორცაა ანალიზის, გაანგარიშებების, ტესტირების და სხვა შედეგები;

(c) ხარისხის სისტემის წარმოების ნაწილში გათვალისწინებული ხარისხის ჩანაწერები, როგორცაა ინსპექტირების ანგარიშები და ტესტირების მონაცემები, კალიბრაციის მონაცემები, ანგარიშები პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ და ა.შ.

4.3. ზემოაღნიშნულმა ორგანომ პერიოდულად უნდა განახორციელოს აუდიტი იმის დასადგენად, იყენებს თუ არა მწარმოებელი ხარისხის სისტემას, რის შემდეგაც წარუდგენს მწარმოებელს აუდიტის ანგარიშს.

4.4. ამას გარდა, ზემოაღნიშნულმა ორგანოს შეუძლია შეამოწმოს მწარმოებელი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ასეთი შემოწმების დროს, მან, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ჩაატაროს რადიოაპარატურის ტესტირება ან მოსთხოვოს მწარმოებელს მათი ჩატარება ხარისხის სისტემის სათანადოდ ფუნქციონირების დადგენის მიზნით. ამ შემთხვევაში, მწარმოებელს წარედგინება შესაბამისი ანგარიში; ტესტირების ჩატარების შემთხვევაში, ტესტირების ანგარიში.

5. CE-ის მარკირება და ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარირება

5.1. მწარმოებელი ვალდებულია, მოახდინოს CE-ის მარკირება მე-19 და მე-20 მუხლების მიხედვით და მე-3.1 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილი ორგანოს პასუხისმგებლობით, რადიოაპარატურის იმ თითოეულ ერთეულზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ დირექტივის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, გამოიყენოს მისი საიდენტიფიკაციო ნომერი.

5.2. მწარმოებელი ვალდებულია, წერილობით მოამზადოს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია რადიოაპარატურის თითოეული სახეობისთვის და შეინახოს ის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია უნდა იძლეოდეს იმ რადიოაპარატურის იდენტიფიცირების საშუალებას, რომლისთვისაც მოხდა ამ დეკლარაციის მომზადება.

ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ასლი უნდა წარედგინოს შესაბამის ორგანოებს მოთხოვნისამებრ.

6. მწარმოებელი ვალდებულია რადიოაპარატურის ბაზარზე განთავსების შემდეგ 10 წლის განმავლობაში შეინახოს და მოთხოვნისამებრ წარუდგინოს სახელმწიფო ორგანოებს:

(a) მე-3.1 პუნქტში მითითებული ტექნიკური დოკუმენტაცია;

(b) მე-3.1 პუნქტში მითითებული ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

(c) მე-3.5 აღნიშნული ცვლილება, მისი დამტკიცების შემთხვევაში;

(d) მე-3.5, მე-4.3 და მე-4.4 პუნქტებში აღნიშნული გადაწყვეტილებები და ანგარიშები.

7. უფლებამოსილმა ორგანომ უნდა შეატყობინოს შესაბამის ზემდგომ ორგანოს იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც ეხება ხარისხის სისტემების დამტკიცებას და შეჩერებას და პერიოდულად ან მისი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ხარისხის იმ სისტემების სია, რომელთა დამტკიცებაზე უარი ეთქვათ, მოხდა მათი შეჩერება ან დაწესდა სხვა შეზღუდვა.

უფლებამოსილმა ორგანომ უნდა აცნობოს სხვა უფლებამოსილ ორგანოებს ხარისხის იმ სისტემების შესახებ, რომელთა დამტკიცებაზე უარი ეთქვათ, მოხდა მათი შეჩერება ან გაუქმება და ასევე, მათი მოთხოვნისამებრ, მის მიერ დამტკიცებულ ხარისხის სისტემების შესახებ.

8. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მე-3.1, მე-3.5 და მე-6 პუნქტებში მოცემული მწარმოებლის მოვალეობების შესრულება შეიძლება მოხდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და პასუხისმგებლობით, თუ ეს მისი მანდატით არის განსაზღვრული.



დანართი V

ტექნიკური დოკუმენტაციის შინაარსი

შესაბამის შემთხვევებში, ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ელემენტებს:

- (a) რადიოაპარატურის ზოგად აღწერილობას, რაც შემდეგს ითვალისწინებს:
 - (i) ფოტოსურათები ან ილუსტრაციები, რომლებზეც ასახულია გარე ელემენტები, მარკირება და შიდა სქემა;
 - (ii) პროგრამული უზრუნველყოფის ან პროგრამულ-აპარატურული საშუალებების ვერსიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას;
 - (iii) ინფორმაცია მომხმარებლისთვის და ინსტალაციის ინსტრუქცია;
- (b) კონცეპტუალური დიზაინი და კომპონენტების, კონსტრუქციების, სქემების და სხვა მსგავსი ელემენტების საწარმოო ნახაზები და სქემები;
- (c) აღწერილობას და განმარტებებს, რომლებიც საჭიროა ზემოაღნიშნული ნახაზების და სქემების და რადიოაპარატურის ფუნქციონირების გასაგებად;
- (d) იმ ჰარმონიზირებული სტანდარტების სიას, რომელთა გამოყენება სრულად ან ნაწილობრივ მოხდა და რომლებზეც მითითება გაკეთებულია ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში; იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა ამ ჰარმონიზირებული სტანდარტების გამოყენება, იმ გადაწყვეტების აღწერილობა, რომელთა გამოყენება მოხდა მე-3 მუხლში მოცემულია ძირითადი მოთხოვნების შესრულების მიზნით, გამოყენებული სხვა შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკაციების მითითების ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ ჰარმონიზირებული სტანდარტების გამოყენება ნაწილობრივ მოხდა, ტექნიკურ დოკუმენტაციაში უნდა აღინიშნოს თუ რა ნაწილების გამოყენება მოხდა;
- (e) ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ასლი;
- (f) იმ შემთხვევაში, თუ მოხდა მე-3 დანართში მოცემული შესაბამისობის შეფასების მოდულის გამოყენება, ევროკავშირის ტიპის შემოწმების სერტიფიკატის ასლი და შესაბამისი დანართების როგორც ეს წარდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
- (g) საპროექტო გათვლებების, ჩატარებული შემოწმებების და სხვა მსგავსი ელემენტების შედეგები;
- (h) ტესტირების ანგარიშები;
- (i) ახსნა-განმარტება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა რადიოაპარატურა მე-10(2) მუხლის მოთხოვნებს და მოხდა თუ არა მე-10 (10) მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის

შეფუთვაზე დატანა.

დანართი VI

ევროკავშირის დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ (No XXX)¹⁸ (1)

1. რადიოაპარატურა (პროდუქტი, სახეობა, პარტიის ან სერიის ნომერი):
2. მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დასახელება და მისამართი :
3. წინამდებარე დეკლარაცია წარმოადგენს მწარმოებლის ერთპიროვნულ ვალდებულებას.
4. დეკლარაციის ობიექტი (რადიოაპარატურის იდენტიფიცირება, რომლის მიხედვით შესაძლებელია მიკვლევადობის განხორციელება; ეს შეიძლება მოიცავდეს იმ ხასისხის ფერად იმიჯს, რომელიც საჭიროა რადიოაპარატურის იდენტიფიცირებისთვის):
5. ზემოაღწერილი დეკლარაციის ობიექტი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის ჰარმონიზირებულ კანონმდებლობას: 2014/53/EU დირექტივა
საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის სხვა ჰარმონიზირებული კანონმდებლობა:
6. მითითება გამოყენებულ შესაბამის ჰარმონიზირებულ სტანდარტებზე ან მითითებები სხვა ტექნიკურ სპეციფიკაციებზე დეკლარირებულ შესაბამისობასთან დაკავშირებით. ჩამოთვლილი მითითებები უნდა შეიცავდნენ საიდენტიფიკაციო ნომერს და ვერსიას და საჭიროების შემთხვევაში, გამოცემის თარიღს:
7. საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანომ... (დასახელება, ნომერი) ... შეასრულა ... (საქმიანობის აღწერა) ... და გამოსცა ევროკავშირის მსგავსი შემოწმების სერტიფიკატი: ...
8. საჭიროების შემთხვევაში, აქსესუარების და კომპონენტების აღწერილობა იმ პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია რადიოაპარატურის გამოყენება დანიშნულებისამებრ, და რომელზეც ვრცელდება ევროკავშირის დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ:
9. დამატებითი ინფორმაცია:
ხელმოწერილია .. მიერ
და სახელით : ...
(გამოცემის ადგილი და
თარიღი): (სახელი,
თანამდებობა)
(ხელმოწერა):

¹⁸ მწარმოებლისთვის არ არის სავალდებულო შესაფასისობის შესახებ ევროკავშირის დეკლარაციისთვის ნომრის მინიჭება.

დანართი VII

ევროკავშირის შესაბამისობის გამარტივებული დეკლარირება

მე-10.9 მუხლში მითითებული ევროკავშირის გამარტივებული დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ შემდეგნაირად უნდა იქნეს წარმოდგენილი:

ამრიგად, [მწარმოებლის დასახელება] ვახდენ იმის დეკლარირებას, რომ რადიოაპარატურის სახეობა [რადიოაპარატურის სახეობის იდენტიფიცირება] შეესაბამება 2014/53/EU დირექტივას.

შესაბამისობის შესახებ ევროკავშირის დეკლარაციის სრული ტექსტი იხილეთ შემდეგ ინტერნეტ-მისამართზე:

დანართი VIII

კორელაციის ცხრილი

1999/5/EC დირექტივა	წინამდებარე დირექტივა
მუხლი 1	მუხლი 1
მუხლი 2	მუხლი 2
მუხლი 3(1) და (2)	მუხლი 3(1) და (2)
მუხლი 3 (3) და მუხლი 15ა	მუხლი 3(3), გარდა 3(3)(i), და მუხლი 44
მუხლი 4(1) და მუხლები and 13-15	მუხლები 8 და 45
მუხლი 4(2)	—
მუხლი 5(1)	მუხლი 16
მუხლი 5(2) და (3)	—
მუხლი 6(1)	მუხლი 6
მუხლი 6(2)	—
მუხლი 6(3)	მუხლი 10(8), (9) და (10)

მუხლი 6(4)	—
მუხლი 7(1) და (2)	მუხლი 7
მუხლი 7(3), (4) და (5)	—
მუხლი 8(1) და (2)	მუხლი 9
მუხლი 8(3)	—
მუხლი 9	მუხლები 39-43
მუხლი 10	მუხლი 17
მუხლი 11	მუხლები 22-38
მუხლი 12	მუხლები 19 და 20; და მუხლი 10(6) და (7)
მუხლი 16	—
მუხლი 17	მუხლი 47
მუხლი 18	მუხლი 48
მუხლი 19	მუხლი 49
მუხლი 20	მუხლი 50
მუხლი 21	მუხლი 51
მუხლი 22	მუხლი 52
დანართი I	დანართი I
დანართი II	დანართი II
დანართი III	—
დანართი IV	დანართი III
დანართი V	დანართი IV
დანართი VI	მუხლი 26
დანართი VII(1)-(4)	მუხლები 19 და 20
დანართი VII(5)	მუხლი 10(10)

ევროპის პარლამენტის განცხადება

ევროპის პარლამენტი მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტები შეიძლება ჩაითვალოს კომიტეტურ პროცედურად როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის პარლამენტის და ევროკომისიის ურთიერთობების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების დანართ 1-ში) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის 182/2011 რეგულაციასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების განხილვა კომიტეტებში ხდება.. შესაბამისად, სხვა საკითხების განხილვის შემთხვევებში, კომიტეტების შეხვედრებზე ვრცელდება ჩარჩო ხელშეკრულების მე-15 პუნქტი. .
